ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 2013 | №221 (6222) | ფასი: 30 თეთრი

17 სექტემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
„შავი ვარდი“
3 ლარი




# ნანა კაკაბაძე: „მერაბიშვილი და ახალაია ციხეში ფუფუნებაში ჰყავთ“

ნაციონალები მეოცნებეებს სკანდალური კადრებით აშანტაჟებენ

გვ. 3



## „სვანეთს არ დაგატბორინებთ, თქვენი სახლ-კარი დატბორეთ!“





გვ. 5

სვანები ხუდონჰესის აშენებაზე ვერ დაითანხმეს

## მინისძვრას ყვარლის რაიონში ნგრევა არ მოჰყოლია

გვ. 7



## ირაკლი ალასანია და სალომე ზურაბიშვილი თბილისის მერის პოსტზე იყრიან კენჭს

გვ.2



## სოზარ სუბარი: „სასჯელაღსრულების სისტემაში პროვოკაციაა მოსალოდნელი“



გვ.6

## დავით უსუფაშვილი ცრუ შეტყობინებების ავტორთა ან მათი მშობლებისაგან მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს



გვ.6



გვ.4

## მაია ფანჯიკიძე: „სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტს არ ვუცხადებთ“



## ბაჩო ახალაიას პროცესზე პროკურორი დააჯარიმეს

გვ. 4

ISSN 1987-9385

**4** სუპერმარკეტიდან ვადაგასული სურსათი ამოიღეს

**3** ცრუ შეტყობინებაზე სანქციის გამკაცრების შესახებ კანონპროექტს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს

**4** თბილისში ირანული თვითმფრინავი აფრენიდან რამდენიმე წუთში უკან დაეშვა

**6** პარლამენტის შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ავტორს 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება

## საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამგებელი 55 მუნიციპალიტეტში შეიცვალა

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" გუშინ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ მუნიციპალიტეტებში განვითარებული მოვლენების მონიტორინგის მეოთხე, შემაჯამებელი ანგარიში წარმოადგინა.

ანგარიში, თვითმმართველობებში განვითარებული პოლიტიკური პროცესების, საკადრო ცვლილებების,საპროტესტო აქციებისა და თვითმმართველობის მოხელეთა მიმართ განხორციელებული სამართლებრივი დევნის შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

„2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 3 აგვისტომდე საქართველოს მასშტაბით გამგებელი 55 მუნიციპალიტეტში შეიცვალა, მათ შორის ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არაერთგზის. გამგებლების შესარჩევად კონკურსი მხოლოდ 19 მუნიციპალიტეტში გამოცხადდა, სხვა შემთხვევაში კი ისინი საკრებულომ დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში გამგებლების ცვლილებების მეორე ტალღა დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნების შემდგომ დანიშნული ახალი გამგებლების იმპიჩმენტის პროცედურები არაერთ მუნიციპალიტეტში გაიმართა. ადგილი ჰქონდა იძულებასაც.

3 აგვისტოს შემდგომ, ანგარიშის გამოქვეყნებამდე, გამგებელი კიდევ 13 მუნიციპალიტეტში, საკრებულოს თავმჯდომარე სამ მუნიციპალიტეტში, ხოლო მერი ორ ქალაქში შეიცვალა" – ნათქვამია „სამართლიანი არჩევნების" ანგარიშში.

ნიუსპრესი

## „სამხრეთი ოსეთი" საქართველოსთან საზღვარს სამი დღით კეტავს



მიმდინარე წლის 19-დან 21 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის „საზღვრის" გადაკვეთა აიკრძალება. ამის შესახებ დე-ფაქტო რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტში განაცხადეს.

„რესპუბლიკის დღისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ღონისძიებებზე უსაფრთოხების უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით, 19 სექტემბრის 20:00 საათიდან საქართველოს მხრიდან მოსახლეობის შემოშვება შეწყდება" – აცხადებენ უწყებაში.

დე-ფაქტო რესპუბლიკაში შესასვლელად, ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა, 21 სექტემბრის 6:00 საათიდან გახდება შესაძლებელი.

ნიუსპრესი

# ირაკლი ალასანია და სალომე ზურაბიშვილი თბილისის მერის პოსტზე იყრიან კენჭს

თამარ ნინიძე

**კოალიცია „ქართულმა ოცნებამ", ალბათ, ბევრი დაკარგა, როცა სალომე ზურაბიშვილს მისი საკადრისი ადგილი არ მიაკუთვნა კოალიციის რიგებში. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი იმ პოლიტიკოსების რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც არასოდეს გადაუხვევია დასავლური კურსისთვის. ის ყოველთვის აფიქსირებდა პოზიციას, რომ საქართველოს დასავლური კურსი და ევროინტეგრაცია პრიორიტეტულია და ამ მიმართულების ავკარგიანობაზე საუბარიც კი ზედმეტია.**



დღევანდელი მდგომარეობით სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელი პოლიტიკოსია, რომელიც არ ასოცირდება არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან და გუნდთან. ეს უკვე კარგი სტარტია იმისათვის, რომ პოლიტიკოსმა არჩევითი თანამდებობა დაიკავოს ხელისუფლების ნებისმიერ შტოში. ამ დროს კი, ზურაბიშვილს იმის საშუალებას უსპობენ, რომ საპრეზიდენტო კამპანიაში აქტიურად ჩაერთოს. დროთა განმავლობაში სალომე ზურაბიშვილი თავისი დიდი გამოცდილებით დიპლომატიურ ასპარეზზე გავლენიან პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა, მისი ღია დასავლური კურსის მიუხედავად, მოქმედმა ხელისუფლებამ და მმართველმა კოალიციამ მისი ჩაჩოჩება მოინდომა, რითიც თავადვე იზარალა. მართალია ივანიშვილი ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილმა ბრალდებები კოალიციისკენ არ უნდა მიმართოსო, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ კოალიციის სუბიექტებმა არ მოინდომეს მასთან აქტიური თანამშრომლობა. ზურაბიშვილს ნოღაიდელივით და ბურჯანაძესავით საკუთარი პარტია არ უმაგრებდა ზურგს, მაგრამ ის ქართულ პოლიტიკაში მყარად დადგა ფეხზე და მუდმივად არის ყურადღების ცენტრში.

ბოლო დროს გაჩნდა ეჭვები, რომ კოალიციამ ივანიშვილის ხელმძღვანელობით დასავლური კურსის მქონე ალასანია და ზურაბიშვილი განზრახ ჩააჩოჩა გვერდზე, ალასანიას საპრეზიდენტო არჩევნებზე მონაწილეობის საკითხი ივანიშვილმა თავიდანვე გამორიცხა, არადა ალასანიას კარგი პერსპექტივა ჰქონდა, მისი რეიტინგიც მარგველაშვილის რეიტინგზე მაღალია, დღესაც რომ დაიდოს სოციოლოგიური კვლევები, ალასანია მარგველაშვილს რეიტინგით მოუგებს, სავარაუდოდ, მარგველაშვილის დამარცხებას სალომე ზურაბიშვილიც შეძლებს. ამის მიუხედავად, ორი გამოკვეთილად დასავლური კურსის პოლიტიკოსი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ იღებს და ეს სწორედ კოალიციის „დამსახურებაა".

ზურაბიშვილს ჰქონდა შანსი კოალიციაში შესულიყო, მაგრამ გაცილებით მეტი უნდოდა, ვიდრე ივანიშვილი შესთავაზებდა. სალომე, მარგველაშვილისგან განსხვავებით, ადვილი სამართავი არ არის და შიდაკონტროლს არ დაექვემდებარებოდა. სალომეს, როგორც ჩანს, კოალიციის მხარდაჭერით სურდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა და ამის თაობაზე ადრევე იყო პროგნოზები, მაგრამ ივანიშვილმა და სალომემ საერთო ენა ვერ იპოვეს. არსებობს ვარაუდი, რომ ივანიშვილმა არ მოინდომა დასავლური კურსის პოლიტიკოსების მაღალ პოსტებზე წარდგენა. ასე მოხდა ალასანიას შემთხვევაში. ივანიშვილმა ხისტად დააფიქსირა მოსაზრება, რომ ალასანიას არ განიხილავდა კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატად, ეს ჯერ კიდევ მაშინ თქვა, სანამ მარგველაშვილის ფიგურის განხილვა დაიწყებოდა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ ქართულ გამოცემასთან ინტერვიუში ზურაბიშვილმა გულახდილად აღიარა, ალასანიას საპრეზიდენტო პოსტზე მხარს დავუჭერდიო. მარგველაშვილს კი სულ უფრო ხშირად ხედავენ ფოტოებზე ლევან ვასაძესთან ერთად, ვასაძე კი, მოგეხსენებათ, რუსეთთან ასოცირდება და საქართველო–რუსეთის განსაკუთრებული მეგობრობის მომხრეთა „საპატიო" რიგში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ეს გარემოება მარგველაშვილს ხელს შეუშლის გამარჯვებაში თუ არა, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად ჭარბად არის ელექტორატში რუსეთთან დაახლოების სურვილი. ამ ფონზე ალასანიას მომავალი პოლიტიკური პერსპექტივა და ზურაბიშვილის შანსი, დაიკავონ საკვანძო თანამდებობები, მცირდება. სააკაშვილმა მოახერხა და ევროინტეგრაციული სურვილები ჩაკლა ადამიანებში, არადა, 2003 წლამდე დასავლური კურსის მიმდევრები გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე დღეს არიან. ამიტომ, ზოგადად ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაერთიანების მსურველ პოლიტიკოსებს განსაკუთრებით მძიმე და რთული მუშაობა მოუწევთ, რომ სააკაშვილის დათესილი ანტიპიარი დასავლეთის სასიკეთოდ შემოაბრუნონ.

იმ შემთხვევაში, თუ სალომე ზურაბიშვილს საბოლოოდ არ მიეცემა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება, მას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ექნება შანსი თბილისის მერის პოსტის დასაკავებლად. მერის პოსტი კარგი სტარტია პოლიტიკოსისთვის, რომ იბრძოლოს პრეზიდენტობის ან პრემიერობისთვის. ქართულ გამოცემებში უკვე ვრცელდება იმ პოლიტიკოსების გვარები, ვისაც მერის არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ექნებათ, მაგალითად, ჯონდი ბაღათურიას და გიგლა ბარამიძის. სავარაუდოდ, გიგლა ბარამიძე ბურჯანაძის მხარდაჭერით ისარგებლებს, ჯონდი ბაღათურიას კი აქვს შესაძლებლობა, მხარდამჭერები პარტნიორ პარტიებში მოიძიოს.

მერის პოსტზე რამდენიმე ხნის წინ თინა ხიდაშელსაც განიხილავდნენ, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ხიდაშელს ეს პოსტი აინტერესებდა, ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ხიდაშელი მოინდომებს თუ არა ბრძოლას თბილისის მერობისთვის, ეს მომავალში გამოჩნდება. რესპუბლიკელების შესაძლებლობებზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, რამდენად შეძლებენ კოალიციის გარეშე სასურველი პოზიციის დამკვიდრებას. მართალია რესპუბლიკელების ლიდერები აცხადებენ, რომ ინტელექტუალთა პარტიას მოსახლეობაში დიდი მხარდაჭერა აქვს, მაგრამ არჩევნებში დამოუკიდებლად გასულები მუდმივად მარცხდებიან. ეს წინათ გაყალბებული არჩევნების ბრალი იყო თუ ამ პარტიის დაბალი რეიტინგისა, ეს მალე გამოჩნდება, თუკი კოალიცია დაიშლება ან მისი სუბიექტები ადგილობრივ არჩევნებში ცალკე იყრიან კენჭს. ამ ეტაპზე მხოლოდ ის ჩანს, როგორ ცდილობენ რესპუბლიკელები რეგიონებში ნაციონალების შევიწროებას და მათი ადგილების დაკავებას.

ასე რომ, ის პოლიტიკოსები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ მონაწილეობენ, მათ შორის სალომე ზურაბიშვილი და ირაკლი ალასანია არიან, სავარაუდოდ, მერის პოსტისთვის იბრძოლებენ. საქართველოს უფუნქციო და სიმბოლური პრეზიდენტის რანგში ყოფნას, წესით, დედაქალაქის მერის თანამდებობა უფრო უნდა ერჩივნოთ.

## ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის გამიჯვნაზე იწყებს მუშაობას

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის გამიჯვნაზე იწყებს მუშაობას. ამ მიზნით, ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის ხელმძღვანელობით, სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელიც ამ პროცესს კოორდინაციას გაუწევს.

„წინა ხელისუფლება ქმნიდა ილუზიას, თითქოს ქვეყანაში მარეგულირებელი დოკუმენტების რაოდენობას ამცირებდა, რის გამოც, ხშირად ეკლექტურად აერთიანებდა აბსოლუტურად სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას, მათ შორის, იყო საგადასახადო და საბაჟო




კოდექსები. ამასთან, საქართველოს აღებული აქვს საერთაშორისო ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მომზადების ფარგლებში, ჩვენი კანონმდებლობა, მათ შორის, საბაჟო სფეროში, ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება და ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო მუშაობა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის გამიჯვნაზე. მინდა ვთხოვო იმპორტიორ და ექსპორტიორ კომპანიებს, ადამიანებს, რომლებსაც შეხება აქვთ საბაჟო სფეროსთან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, რათა ჩვენ საბოლოოდ მივიღოთ დოკუმენტი, რომელიც რეალურად იმუშავებს და მოხსნის იმ პრობლემებს, რომელიც დღეისთვის შეიძლება კიდევ არსებობდეს" – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა.

შეგახსენებთ, რომ საგადასახადო კოდექსი, რომელშიც საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა გაერთიანდა, 2011 წელსაა მიღებული.

ნიუსპრესი

## რუსმა მესაზღვრეებმა დიცთან სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოები განაახლეს

რუსმა მესაზღვრეებმა დღეს დილით, სოფელ დიცთან ე.წ. სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოები განაახლეს.

როგორც ,,მედიანიუსთან" საუბარში ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ზაქარია ვატიკაძემ განაცხადა, რუსი მესაზღვრეები მავთულხლართების გაბმას ამჟამადაც განაგრძობენ.

რწმუნებულის ინფორმაციით, მესაზღვრეები აგრესიულად იქცევიან და ერთ-ერთ ადგილობრივ მოსახლეს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს.

,,ადგილზე იმყოფება პოლიცია. შესაბამის ორგანოებს უკვე ვაცნობეთ არსებული ვითარება. არსებობს საფრთხე, რომ მათ კონტროლირებად ტერიტორიაზე რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და სასაფლაო მოყვეს,"– განაცხადა ზაქარია ვატიკაძემ.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დაახლოებით თვენახევრის წინ სამუშაოები მიმდინარეობდა, შემდგომ კი შეაჩერეს.

მედიანიუსი

# მიხეილ სააკაშვილი: „დღეს აპირებენ ქუთაისის, როგორც ქალაქის დაკვლას"

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისის აეროპორტის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის პროექტის ავტორები და არქიტექტორები დააჯილდოვა. გიორგი კარბელაშვილს და ჰოლანდიელ არქიტექტორს ფრანს ვან ლურეს ბრწყინვალების ორდენები, ხოლო პროექტში მონაწილე 9 პირს ღირსების ორდენები გადასცა.

დაჯილდოვების ცერემონიაზე პრეზიდენტმა ქუთაისის აეროპორტის სტრატეგიულ მნიშვნელობაზეც ისაუბრა. ამას გარდა მან ყურადღება გაამახვილა იმ პროექტებზე, რომელთა დასრულებაც წინა ხელსიუფლების მმართველობის დროს ვერ მოესწრო.

„მე ძალიან ვამაყობ ამ აეროპორტით და იმ ხალხით, ვინც ეს გააკეთა. ეს აეროპორტი ჩვენ დროზე მოვასწარით. ეს არის პროდუქტი აღმშენებლობის ეპოქის, რომელიც შეცვალა ნგრევის ეპოქამ. ხვალ აპირებენ ქუთაისის, როგორც ქალაქის დაკვლას. გააჩერეს ახალი თბილისის პროექტი, რომელიც ამოასუნთქებდა დედაქალაქს. გააჩერეს ლაზიკა, გააჩერეს ბათუმის და საქართველოს მთავარი პერსპექტივა -ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და ახლა აპირებენ ქუ-




თაისიდან პარლამენტის გადატანას დღევანდელი კენჭისყრით, რადგან 2/3 აწევა მეტს არაფერს არ ნიშნავს. მათ უნდათ ჰაერში აწეული ქუთაისი ჩამოაგდონ ერთი გასროლით. ვფიქრობ, ეს არ გამოვა. ამიტომაც ეს აეროპორტი არის სიმბოლო იმისა, რომ ქუთაისს აქვს მომავალი",-განაცხადა დაჯილდოვების ცერემონიაზე ქვეყნის პირველმა პირმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნანა კაკაბაძე: „მერაბიშვილი და ახალაია ციხეში ფუფუნებაში ჰყავთ“

## ნაციონალები მეოცნებეებს სკანდალური კადრებით აშანტაჟებენ

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***— ქალბატონო ნანა, რამდენიმე დღის წინ თქვენ ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია მოინახულეთ საპყრობილეში. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ნანახმა შოკში ჩაგაგდოთ. ასეთი რა ნახეთ მატროსოვზე? რა ხდება მათ საკნებში?***

— რა ხდება და თქვენ უნდა შეხვიდეთ, ჟურნალისტები, და ნახოთ. მე, როგორც მიკერძოებულმა რომ არ ვისაუბრო, რა ხდება მათ საკნებში, მიბრძანდით და ნახეთ. მსგავსი რამ თუ გინახავთ ნებისმიერ, მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოს ციხეებში, ის რაც მათთან ხდება. ძალიან კარგია, ეს საკნები ასეთი რომაა. იქ, მილიონერების დონის ვილები აუშენეს ამ ადამიანებს, მაგრამ ვის აუშენეს ეს ვილები? იმათ, ვინც დანარჩენი პატიმრები ამ დღეში ჩააგდო?! დანარჩენებსაც თუ ექნებათ ასეთი პირობები, გასაგები იქნება ეს ჩემთვის, მაგრამ დანარჩენ პატიმრებს კედლები რომ ენგრევათ თავზე და ესენი რომ არ არიან ამ პირობებში, ეს არის აღვირახსნილობა უკვე! აი, ეს აღარ ჯდება აღარაფერში! მოითხოვეთ ჟურნალისტებმა, შეგვიყვანეთ და გვაჩვენეთ სად სხედან ისინიო და ნახავთ, რა პირობებშიც არიან. მერე წადით და მოინახულეთ, დანარჩენ ციხეებში რა ხდება და რა პირობებში არიან. გინდაც ქსანში, გინდაც ქუთაისში და გინდაც რუსთავში. მერე ესენი ნახეთ მატროსოვზე, მთელი კოლონია გააუქმეს იმ ერთი ვილის გარდა, რომელიც ამათთვის ააშენეს. დანარჩენი ყველაფერი გაუქმებულია, რომ არ შეწუხდნენ დანარჩენი პატიმრების შეძახილებისგან, უსაფრთხოდ რომ იყვნენ, ამის გამო ყველაფერი მოსპეს იქ. დატოვეს ეს ერთი ვილა და ფიჭვნარში ნებივრობენ. კი ბატონო, ჰქონდეთ ამათ ის პირობები, ოღონდ დანარჩენებიც იყვნენ მათ მსგავს პირობებში. ესენი ვილაში და დანარჩენები რა პირობებში, ეს არის სამართლიანობა?!

***— ეს ხომ ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა?***

— რა თქმა უნდა, ამ ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა. ერთი მაინტერესებს, სააკაშვილის რეჟიმი რომ იჭერდა წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, დათო მირცხულავა რომ დაიჭირა, სულხან მოლაშვილი რომ დაიჭირა და დანარჩენები, არ გახსოვთ, რა პირობებში ჰყავდათ ისინი? მეშვიდე დაწესებულებაში, სარდაფში, სადაც სულხან მოლაშვილი ჰყავდათ, ელექტროენერგიის გაყვანილობაც კი არ არსებობდა. ახლა შეადარეთ, რა პირობებში ჰყავდა მერაბიშვილის მოლაშვილი და დღეს მერაბიშვილი რა პირობებში ჰყავს იუსტიციის სამინისტროს. ჩამოიყვანეთ ერთი ის იორში და აჩვენეთ, სად იჯდა მოლაშვილი და სად სხედან ახლა ესენი. თურმე დღეს იმაზე უნდა ვინერვიულოთ, წონაში ხომ არ დაიკლო რომელიმემ. აი, ეს არის ცინიზმი საზოგადოებისადმი, ეს არის ცინიკური დამოკიდებულება. პატიმარი ყველა პატიმარია, ყველა საცოდავია და მე ყველას მიმართ უნდა ვიყო ჰუმანური, მაგრამ ყველას მიმართ და არა გამონაკლისების მიმართ. ამ კრიმინალებს, რომლებსაც გაცილებით დიდი დანაშაულებები აქვთ ჩადენილი,



ვიდრე იმ დანარჩენ პატიმრებს, რომლებიც იმ პირობებში არიან. სწორედ ესენი უნდა ისხდნენ იქ. ბიჭმა, რომელმაც არყის ქვაბის თავი მოიპარა, 11 წელი მიუსაჯეს და რა პირობებში ზის და ამათ, რომლებმაც 18 მილიარდი დაიტაცეს ქვეყნიდან, რა პირობები აქვთ შექმნილი...

***— სამწუხარო რეალობაა...***

— სამწუხარო რეალობაა და ამაზე უკვე დროა საზოგადოებამ დღევანდელ ხელისუფლებას მოსთხოვოს პასუხი. უკვე ერთი წელი გავიდა მმართველობიდან, სულ ოთხი წლით არიან მოსულები. ერთი წელი გავიდა და რა შედეგი დაიდო?! გარდა იმისა, რომ სააკაშვილი და ნაციონალები არ არიან ზედაპირზე ხელისუფლებაში, მაგრამ სად არ მართავენ სიტუაციას ერთი მითხარით. ენჯეოები მაგათმა აიღეს, დღეს სოროსის მიერ შექმნილი 10-11 ორგანიზაციის ნუსხაში გვხვდება ტუღუშის ორგანიზაცია. ეს ის ტუღუში არ იყო, ციხეებში ხალხს რომ აწამებდნენ და ხმას რომ არ იღებდა?! ერთი მოხსენება მაინც თუ აქვს გაკეთებული, რომ ციხეებში წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობა იყოო. ეს ის ტუღუში არ იყო, ციხის უფროსად რომ გადაიყვანეს და ხელისუფლება რომ იცვლებოდა, მაშინ რომ გახსნა ციხეები? მანამდე არ იცოდა, რომ მონიტორინგი უნდა ყოფილიყო ციხეებში? და ასეთი ადამიანი კიდევ ექსპერტად და უფლებადამცველად გვევლინება. აი, ვის აზრებს გვახვევენ თავზე. ეს თავსმოხვეული პოლიტიკა ამ მოძალადეებისგან აღარ შეჩერდა! თურმე კიდევ ესენი უნდა იყვნენ ჭკუის მასწავლებლები თუ პოლიტიკაში და თუ სამოქალაქო საზოგადოებაში. გააკეთეს მონოპოლიები, თურმე პოლიტიკა ახლა ამათ^უნდა ჰქონდეთ მონოპოლიზებული, საზოგადოებრივი აზრი კი ვილაცა ამ 10-11 გაუგებარ, გაუცნობიერებელ და სხვისი დაკვეთის შემსრულებელ ვილაც ინდივიდებს. მაგათ ორგანიზაციებსაც კი ვერ დაარქმევ. ტუღუში უნდა მიდგენდეს დღეს, რა უნდა გაკეთდეს? ომბუდსმენობის დროს გაეკეთებინა ის, რაც გასაკეთებელი იყო. ის ყოველთვის ნაციონალური მოძრაობის დანამატი იყო.

***— სწორედ ამ ყველაფრის ფონზე ვხედავთ, როგორი იმედგაცრუება და გულგატეხილობაა საზოგადოებაში. მოახლოვდა არჩევნებიც. რა პროცესებს ელით ქალბატონო ნანა?***

— საზოგადოება პოლიტიკურად გაიზარდა, თუკი სამი, ხუთი ან ათი წლის წინ შეიძლებოდა საზოგადოების მოტყუება, დღეს საზოგადოებას ასე ადვილად ვეღარ მოატყუებ. ის ყველაფერს კარგად ხედავს და ეს გულგატეხილობაც და იმედგაცრუებაც ამიტომაა. ხალხმა იმდენი გამოიარა და იმდენი გამოსცადა თავის თავზე, რომ ის უკვე მარტივად ხვდება პოლიტიკოსების ინტერესებს. ერთი მხრივ, სერიოზული იმედგაცრუებაა დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, რომელიც აღმოჩნდა საკმაოდ ქმედუუნარო, ქმედუუნარო ალბათ იმიტომ, რომ ეს არ იყო ერთიანი გუნდი, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში. ეს იყო აბსოლუტურად ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერესების, განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა შემოიკრიბა, თუმცა მათი შეხედულებების თანხვედრა ვერ მოხდა. ეს ადამიანები ყველა თავის გეგმას ახორციელებს. ერთიანი პოლიტიკის ნაწილი ვერ გახდნენ ეს სხვადასხვა ინტერესების მქონე პოლიტიკოსები. მეორე პრობლემაა ის, რომ ხელისუფლებამ ვერ გაუძლო დასავლეთის ზეწოლას კოაბიტაციასთან დაკავშირებით, რაც საკმაოდ უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებაზე. ისედაც ამ სუსტ თუ უუნარო ხელისუფლებას კიდევ უფრო დიდი დარტყმა მიაყენა ამ კოაბიტაციურმა რეჟიმმა. ხალხში ეს ყველაფერი გულისწყრომას და იმედგაცრუებას იწვევს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაციონალების მიმართ ჩნდება სიმპათიები. დღეს საზოგადოება ხედავს, ნაციონალური მოძრაობა იყო ბოროტების სათავე, ერის გადაგვარებას ახდენდა, უამრავ სისასტიკეს სჩადიოდა, მაგრამ ერთიანი გუნდი იყო და ყველაფერში ბოროტს, მაგრამ მიზანს აღწევდა. ქართული ოცნების შემთხვევაში კი ხალხი ხედავს, როგორი კეთილი და კარგი მიზნებიც არ უნდა ჰქონდეს ამ პოლიტიკურ გუნდს, ის თავისი ქმედუუნარობის გამო ამას ვერ ახერხებს. კი, ის შავი ჭირი, რაც ქვეყანას ნაციონალური მოძრაობის სახით ჰქონდა, ის შესუსტდა, მაგრამ პრობლემები, რომლის წინაშეც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს იდგა საზოგადოება, ის პრობლემები დღეს დარჩა. სამართლიანობის აღდგენა, ეს არ იყო ჩვენი გამოგონილი, ეს იყო საზოგადოების დაკვეთა და ეს ვერ მოახერხა ახალმა ხელისუფლებამ.

***— რატომ ვერ მოხერხდა ეს?***

— იმიტომ, რომ ვერ გათავისუფლდა იმ მონოლითური, ბოროტი მმართველობისგან, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა. თუნდაც საკადრო პოლიტიკის თვალსაზრისით იგივე ხალხი დატოვა აბსოლუტურად ყველგან. დაწყებული სასამართლოებიდან, პროკურატურიდან და პოლიციიდან, დამთავრებული რიგით ობიექტებზე. ყველგან დატოვეს ნაციონალური მოძრაობა. დღეს იძახიან, რომ ესენი არიან პროფესიონალები და ერთი ხელის მოსმით ხომ ვერ გავათავისუფლებთო. რა კრიტერიუმებით აფასებენ, რომ ისინი იყვნენ პროფესიონალები, მე არ ვიცი. რა მიაჩნიათ პროფესიონალიზმად? წამებებსა და ღირსების შემლახავ მოპყრობებში კარგი სპეციალისტები? ის კრიმინალი, რაზედაც მაშინ პოლიცია იდგა, რატომ არის მისაღები დღევანდელი ხელისუფლებისთვის? დღეს უკვე არაერთი ფაქტია იმისა, რომ პოლიცია არ იქცევა კანონიერად, უკვე არაერთი ფაქტია იმისა, რომ პოლიცია ადამიანებს სცემს, ხდება იარაღის ჩადება და ასე შემდეგ. ესე იგი ამისგან ვერ გავთავისუფლდით. ვერ გავთავისუფლდით რატომ? ვერ გავთავისუფლდით იმიტომ, რომ ეს ადამიანები, ეს კადრები, რომლებიც ვანო მერაბიშვილის დროს ამას აკეთებდნენ, დღესაც აკეთებენ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ხელმძღვანელობას აქვს ის კომპლექსი, რომ აი, ვანო მერაბიშვილი უყვარდა პოლიციას და პატივს სცემდა მას. ეს სიყვარული კი არა, ეს იყო დამოკიდებულება, მათ კრიმინალი აერთიანებდათ. მათ აერთიანებდათ დანაშაული და თუ დღევანდელი ხელისუფლება უარს ამბობს ამ კრიმინალზე და ამ დანაშაულებრივ მმართველობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ვანო მერაბიშვილის დროს, მაშინ, ბუნებრივია, ამ კადრებზეც უარი უნდა თქვას. ამ კრიმინალების გულის მოგებას კი არ უნდა ცდილობდეს იმითი, რომ მათი დანაშაულებები და უღირსი ქცევები დაფაროს, პირიქით, პოლიცია უნდა გათავისუფლდეს ასეთი კრიმინალებისაგან. სამწუხაროდ, ამაზე უარის თქმა არ ხდება.

***— სასამართლოებს რაც შეეხება?***

— იგივე სიტუაციაა სასამართლოებშიც. როდესაც იკვეთება ნაციონალური მოძრაობის ინტერესები, არის პირდაპირ მიკერძოებული. იმდენად თვალში საცემად მიკერძოებული გადაწყვეტილებები გამოაქვს, რომ ამას არ შეიძლება საერთოდ კანონიერი კი არა, ადეკვატური უწოდო. პროკურატურა, რომელიც მართლა არაადეკვატურია. არაადეკვატურია იმიტომ, რომ მის მიერ წაყენებული ბრალდებები იმდენად სასაცილოა და იმდენად სუსტია, რომ მისი მტკიცებულებები როგორ უნდა მოიპოვო? როდესაც ბაჩო ახალაიას ვაშლის გათლაზე და წიწაკის სროლაზე უყენებ ბრალდებებს, როგორ უნდა დაასაბუთო ეს?! ან როდესაც ვანო მერაბიშვილს დასაქმების საკითხებზე ედავები, კი, რა თქმა უნდა, აქაც იდო კრიმინალი, მაგრამ ამას რომ ედავები ადამიანს, რომელსაც არაფორმალური ფონდები ჰქონდა შექმნილი და იქ მილიონობით ლარი რომ ირიცხებოდა, სად მიდიოდა, რატომ ირიცხებოდა, ამაზე რომ არ ედავები და დასაქმებაზე ედავები, ამას აქვს ლოგიკა და ახსნა?! ბაჩო ახალაიას რომ არ ედავები ციხეში იმ წამებების შექმნაზე, რომელიც მის სახელთან არის გაიგივებული და წიწაკის სროლაზე ასამართლებ, აბა, ამას როგორ დაუსაბუთებ, გამაგებინეთ ერთი! ეს ან პროკურატურის სისუსტეა ან მიზანმიმართული პოლიტიკა. იმ პროკურატურაშიც ხომ ის კადრები დარჩნენ, რომლებიც ადეიშვილთან და მერაბიშვილთან ერთად შეხმატკბილებულად აკეთებდნენ ყველაფერ ამას. ამ პოლიტიკით, ნებით თუ უნებლიეთ, ნაციონალური მოძრაობის გათეთრება ხდება და არა იმ დანაშაულებებისთვის დასჯა, რომელიც მათ ჩაიდინეს. როდესაც წამებებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ პარლამენტსაც მივმართეთ თხოვნით, რომ გამოიყოს სახელმწიფოდან თანხები და გადამოწმდეს პატიმრები, ჩაუტარდეთ მათ ექსპერტიზები, ეს დაზიანებები, რომლებიც მათ აქვთ, ინვალიდის სავარძლებში არიან წამებების გამო, ნეკნები და ძვლები აქვთ წამების გამო ამოცლილი, იმიტომ, რომ ვერ შეუხორცდათ, სხვადასხვა ჯგუფის ინვალიდობა აქვთ მიღებული. ხელბორკილებით რომ იყვნენ ჩამოკიდებულნი, ეს ნაჭდევები ხელებზე თუ ფეხებზე დღესაც აქვთ ამ ადამიანებს. ჩატარდეს ამაზე ექსპერტიზები და დაიდოს ამაზე დასკვნები, რა პერიოდში მიიღეს ამ ადამიანებმა ეს დაზიანებები. თუ კონკრეტული დამნაშავეების გამოვლენის თავი არა გაქვს, თუმცა ან ეს რა დიდი პრობლემაა, მაგრამ სამედიცინო დონეზე ხომ შეგიძლია ეს დასკვნები დადო, რომ ამ ადამიანებს ეს დაზიანებები მიღებული აქვთ 2004 წლიდან 2012 წლის ჩათვლით. ამის სისტემურობა უნდა ცნოს ხელისუფლებამ, იმიტომ კი არა, რომ ეს ჩვენ გვინდა, არა იმიტომ, რომ ეს ასე იყო! ამ წამებების მსხვერპლები დღეს არსებობენ. ამნისტიით გათავისუფლებული 14 ათასი პატიმრიდან 5 ათასი დღეს პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდია. რატომ არ გაუკეთდათ ექსპერტიზები და არ ითქვა, რომ მათ ეს დაზიანებები ციხეებში აქვთ მიღებული?! მარტო ეს არის საკმარისი, რომ ბაჩო ახალაიას, შაშკინის და კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, მაგრამ არის კი ეს სახელმწიფო ინტერესებში?! სამწუხაროდ, არ არის.

***— ქალბატონო ნანა, საუბარია იმაზეც, რომ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ნაციონალები სერიოზულ კომპრომატებს ფლობენ და ეს პოლიტიკაც სწორედ ამის შედეგიაო...***

— ესეც არის ალბათ. ესენი ხომ ყველას და ყველაფერს უთვალთვალებდნენ, ყველას პირად ცხოვრებაში ყოფდნენ ცხვირს და სწორედ მათ ინტერესებში შედიოდა ისეთი ადამიანების თვალთვალი, ვინც სამომავლოდ შესაძლოა მათი კონკურენტი ყოფილიყო. თუმცა ამას ის პოლიტიკა კი არ ჭირდებოდა რაც გატარდა, კადრებს რომ ანადგურებენ და სისტემური დანაშაულის კვალს რომ შლიან და კაცმა არ იცის, ოფიციალურად რა გვითხრეს და რეალურად რას ანადგურებენ, ვინ იცის. ეს კი არ იყო საჭირო, ამისთვის საჭირო იყო შექმნილიყო მართლაც საზოგადოებრივი კომისია. როგორც კი ინახა ეს კადრები, მაშინვე ამისი აღწერა უნდა მომხდარიყო, თითოეული ამ მასალის და ეს უნდა გადასცემოდა გამოძიებას. დადებული უნდა ყოფილიყო დასკვნა იმაზე, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული. თუმცა სულ სხვა რამე მივიღეთ და დღეს დასავლეთის მთავარი მიზანი და ამ კოაბიტაციის მთავარი მიზანი იყო ის, რომ არ მომხდარიყო ამ სისტემური დანაშაულის აღიარება. ამაში იმიტომ დევს დასავლეთის ინტერესები, რომ როგორც კი მოხდებოდა ამისი აღიარება, ბუნებრივია, პასუხისმგებლობას ვერც დასავლეთი გაექცეოდა. იმიტომ, რომ ამ დანაშაულებებს მხარს მთელი დასავლეთი უჭერდა. როდესაც დასავლეთი მოითხოვს, რომ არ დაისაჯონ ეს კრიმინალები ნაციონალური მოძრაობიდან, პირველ რიგში, ის თავის თავს იცავს. ისიც ამ პროცესების მონაწილეა და, ბუნებრივია, მას ეს არ აწყობს. თუმცა ჩვენს საზოგადოებას რა აწყობს, დღეს ეს არის მთავარი. ამ ყველაფერს ფარდა უნდა აეხადოს. აი, ეს არის ჩვენს ინტერესებში.

***— ქალბატონო ნანა, რა შეიცვლება არჩევნების შემდეგ? გვპირდებიან, კოაბიტაცია დასრულდებაო, მაგრამ ისეთი ფორმები მიიღო ამ ყველაფერმა, რომ საზოგადოებას ამის ნაკლებად სჯერა...***

— ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პიარი და ეს არის იმისთვის, რომ არჩევნებში გაიმარჯვონ. როგორ დასრულდება მეორე დღეს კოაბიტაცია, როცა ამას არანაირი წინა პირობა არა აქვს?! არანაირი წინა პირობა ამისი არ ჩანს. რეჟიმის გასამართლებას რამდენი ხანია ველით. 11 ათას კაცზე მეტი ხელმოწერილი რეზოლუცია გავაგზავნეთ პარლამენტში. ამ შედეგის დადგომას ამდენი ხანია ველით. თუ არ შეფასდა რეჟიმი და არ ითქვა, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული, კოაბიტაცია როგორ დამთავრდება?! საზოგადოებას ძალით ახვევენ ამ პოლიტიკას თავს და რა შეიძლება ამას მოყვეს? როდესაც საზოგადოება დაინახავს, რომ არჩევნების მერეც არაფერი შეიცვალა, ამას შეიძლება მოყვეს ის პირადი ანგარიშსწორებები, უკვე როდესაც ყველანაირი იმედი გადაეწურება საზოგადოებას, რომელიც ძალიან ცუდის მომასწავებელი იქნება ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის.

## ცრუ შეტყობინებაზე სანქციის გამკაცრების შესახებ კანონპროექტს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს

საქართველოს პარლამენტმა გუშინ, სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების ის პაკეტი დაარეგისტრირა, რომელიც ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებაზე ავტორის მიმართ სანქციების გამკაცრებას გულისხმობს.

წარდგენილი კანონპროექტით, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებისთვის პასუხისგებლობა მძიმდება და თუ ამჟამად მოქმედი კანონით დანაშაული 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ცვლილებების მიხედვით, სანქცია 5 წლამდე გაიზრდება , ხოლო თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება დამამძიმებელ გარემოებებში, საპატიმრო ვადა 5-დან 7 წლამდე გაიზრდება.

„სანქცია იზრდება როგორც პირველი ისე მეორე ნაწილით, რომელიც ამ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას გულისხმობს. ჩვენ, კომიტეტებს გვაქვს ვალდებულება, რომ ეს კანონპროექტი დაჩქარებული წესით განვიხილოთ, რათა პარლამენტმა ის ამ კვირაშივე, ანუ სამივე მოსმენით მიიღოს“ — განაცხადა ეკა ბესელიამ.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა თქმით, საკითხის შემოტანა და მისი დაჩქარებული წესით განხილვა, ბოლო დღეებში მომატებული ცრუ შეტყობინებების ფაქტებმა განაპირობა.

ნიუსპრესი

# ბაჩო ახალაიას პროცესზე პროკურორი დააჯარიმეს

ნათია ხურცილავა



ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე პროკურორი რევაზ ნადოი არ გამოცხადდა.

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრის სასამართლო პროცესი ბრალდების მხარის არგამოცხადების გამო გადაიდო.

რატომ არ გამოცხადდა პროცესზე პროკურორი? რა იყო არ გამოცხადების რეალური მიზეზი?

სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა პროკურორს ძვირად დაუჯდა. პროკურორი რევაზ ნადოი 300 ლარით დაჯარიმდა. მოსამართლე ინფორმაციას მთავარ პროკურორსა და ზემდგომ პროკურორს მიაწოდებს, რათა შემდეგ სხდომაზე ბრალდების მხარის მონაწილეობა უზრუნველყოს და ასევე დასაბუთდეს, თუ რატომ არ გამოცხადდა გუშინდელ სხდომაზე პროკურორი.

სასამართლო პროცესი 19 სექტემბერს ჩაინიშნა.

წინა სასამართლო სხდომაზე პროკურორი რევაზ ნადოი 1 ოქტომბრისთვის ითხოვდა სასამართლო სხდომის გადადებას, თუმცა, მაშინ ეს ბაჩო ახალაიამ და მისმა ადვოკატებმა გააპროტესტეს.

მოსამართლემ 17 სექტემბერს ჩანიშნა სასამართლო სხდომა. პროკურორი დროის სიმცირეზე აპელირებდა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ბაჩო ახალაიას უფლებადამცველმა გიორგი ონიანმა კომენტარი გააკეთა:

— პროკურორი, როგორც წესი, მობრძანდება და ამბობს დასკვნით სიტყვას, ვინაიდან, ეს არის ის ეტაპი, სადაც მან უნდა ამტკიცოს დანაშაულთან შემხებლობა, პირველი არის ის, რომ მას ამის მტკიცების არავითარი საფუძველი არ აქვს, ხოლო მეორე არის ის, რომ საბოლოოდ დასტურდება, რომ ეს ყველაფერი არის პოლიტიკურად მოტივირებული პროცესი, პროკურორის მოსვლას პირდაპირ წყვეტენ ქალბატონი წულუკიანი და ლაშა ნაცვლიშვილი, აქედან გამომდინარე, ამ ადამიანებმა გადაწყვიტეს, ვინაიდან მათ არ აქვთ არავითარი მტკიცებულება, რომ გაუხანგრძლივონ ბაჩო ახალაიას პატიმრობის ვადა, — განაცხადა გიორგი ონიანმა.

სანამ ცნობილი გახდებოდა, სასამართლო სხდომა ჩატარდებოდა თუ არა, მანამდე თავდაცვის ყოფილი მინისტრის ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა კომენტარი გააკეთა პრესასთან.

მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, პროცესზე ბრალდებისა და დაცვის მხარეები დასკვნითი სიტყვებით წარდგებიან.

როგორც ველიჯანაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, არ არის გამორიცხული, აღნიშნულ საქმეზე განაჩენი გახდეს ცნობილი.

როგორც ცნობილია, საქმე ეხება 2006 წლის 26-27 მარტს სასჯელაღსრულების პირველ, მეხუთე და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მომხდარ ე.წ. ციხის ბუნტს.

ბაჩო ახალაიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ედება, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

აღნიშნულ საქმეზე ახალაიასთან ერთად ბრალდებულები არიან რევაზ ჭარბაძე, მეგის ქარდავა და დავით ჭაკუა.

აღსანიშნავია, რომ ბაჩო ახალიას კიდევ ერთ ბრალდების საქმეზე, რომელიც 7 სპეცრაზმელის მიმართ განხორციელებულ არაადამიანურ მოპყრობას ეხება, სასამართლოს განაჩენი ამ დრომდე არ გამოუცხადებია. სასამართლოს განაჩენის გამოცხადებისთვის ვადა 1 დეკემბრამდე აქვს.

# მაია ფანჯიკიძე: „სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტს არ ვუცხადებთ“

ნათია ხურცილავა

როგორც ცნობილია, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი იმყოფება.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე სამინისტროში ეუთოს საპარლამენტო ანსამბლეის პრეზიდენტს მონტენეგროს პარლამენტის თავმჯდომარე რანკო კრივოკაპიჩს შეხვდა. მინისტრის თქმით, დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი არჩევნებზე დაკვირვებაა.

— ძალიან სასიხარულოა, რომ ეუთო საქართველოში დიდი რაოდენობის დამკვირვებლებით ჩამოდის, რადგან ჩვენი მიზანია, რომ თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები ჩავატაროთ. ყველაზე კარგად შეფასებული სწორედ მათი მხრიდან იქნება, გარდა ამისა, მათ ჰყავთ გრძელვადიანი დამკვირვებლები, რომლებიც პირველ კომენტარს იმის თაობაზე უკვე აკეთებენ, რომ საარჩევნო გარემო შარშანდელთან შედარებით ბევრად უკეთესი და პრინციპულად განსხვავებულია. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დამკვირვებლებს მუშაობის საუკეთესო პირობები ჰქონდეთ, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ასევე, მინისტრის თქმით, შეხვედრისას საუბრის ერთ-ერთი თემა საქართველოში ეუთოს მისიის აღდგენის შესაძლებლობები იყო.

— მსჯელობა მიმდინარეობს, ჩვენს გვაქვს მუდმივი კონსულტაციები ეუთოს გენერალურ მდივანთან. ოქტომბერში ამ მიმართულებით ვენაში მექნება შეხვედრები. მოგეხსენებათ, რამდენიმე ვარიანტი არსებობს. მათ უმეტესობას ჯერჯერობით რუსეთი ბლოკავს, მაგრამ, ვნახოთ, შეიძლება, გამოსავალი ვიპოვოთ, იმისთვის რომ ეუთოს მისია აღდგეს. არსებობს რამდენიმე იდეა. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ, პირველ ეტაპზე ეს შეიძლება იყოს საქართველოში ეუთოს რომელიმე ინსტიტუტის დაფუძნება, მაგრამ, როგორი სახით იქნება ეს ყველაფერი, ეს არის სწორედ გასათვალისწინებელი პოლიტიკური განზომილებიდან, რათა არ მოხდეს რაღაცა სახით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის უგულებელყოფა ან დარღვევა, თუნდაც რომელიმე მისიის სახელწოდებაში ჩვენთვის მიუღებელი ტერმინი გვქონდეს, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საგარეო საქმეთა მინისტრმა განცხადება გააკეთა, სოჭის ოლიმპიადას ეხებოდა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, საგარეო უწყება საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ მსოფლიოს ოლიმპიური კომიტეტისთვის გაგზავნილი წერილის პასუხს ელოდება.

— ჩვენ განვაცხადეთ, რომ სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტს არ ვუცხადებთ, რაც ძალიან დადებითი ჟესტია ჩვენის მხრიდან, რომელიც რუსეთის მხრიდან დადებითად იქნა აღქმული. ჩვენ როდესაც ამ გადაწყვეტილებას ვახმოვანებდით, ისიც ვთქვით, რომ იმედი გვაქვს, პროვოკაციები არ იქნება, მათ შორის ამ მიმართულებითაც, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის შეურაცხყოფის ფაქტები არ იყოს. ოლიმპიურმა კომიტეტმა მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს წერილი უკვე გაუგზავნა. ჩვენ მათგან პასუხს ველით და საგარეო საქმეთა სამინისტრო უკვე ფაქტებზე დაყრდნობით მოახდენს რეაგირებას. სამწუხაროდ, ტელეეთერით გასული ფაქტი საგარეო უწყებისთვის მიუწვდომელია. ჩვენ ამ ინფორმაციას ვებგვერდზე ვერ ვნახულობთ, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ ჟურნალისტებისთვისაა ხელმისაწვდომი. ვნახოთ, რა გახდება საჭირო კიდევ, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, სოჭის ოლიმპიადის რეგისტრაციის ფორმაში, საქართველო, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ცალცალკე სახელმწიფოებადაა შეყვანილი. აღნიშნული ინფორმაცია ჟურნალისტისთვის გახდა ცნობილი, რომელმაც სოჭის ოლიმპიადისთვის რეგისტრაცია გაიარა.

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

საგარეო უწყების ცნობით, მიმდინარე წლის 12 სექტემბერს ევროპარლამენტმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებული ზეწოლის თაობაზე რეზოლუცია მიიღო, რომლის ტექსტი ევროპარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

— ევროპარლამენტარებმა დაგმეს ის მიუღებელი ზეწოლა, რასაც რუსეთი ახორციელებს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების მიმართ მაშინ როდესაც ვილნიუსის სამიტი ახლოვდება და მოუწოდეს მოსკოვს, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება ჰელსინკის პრინციპებს და პატივი სცეს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების სუვერენულ უფლებას, გააკეთონ საკუთარი პოლიტიკური არჩევანი. რეზოლუცია მტკიცედ უარყოფს იმ იდეას, რომ ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობები „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებთან „ნულოვანჯამიანი თამაშია“ და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორების თავისუფალ არჩევანს უარყოფითი შედეგები არ უნდა მოჰყვებოდეს რუსეთთან, არც სავაჭრო ურთიერთობების მხრივ და არც სხვა მიმართულებებით.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში, ევროკავშირის ღირებულებებისა და სტანდარტებზე დაფუძნებული შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები თავად რუსეთის ინტერესებში შედის, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარად მოხდება მის საზღვრებთან სტაბილურობის, კეთილდღეობისა და თანამშრომლობის სივრცის გაფართოება. ამასთან, ევროპარლამენტარებმა მოუწოდეს რუსეთს ამ პროცესში კონსტრუქციული ჩართულობისაკენ.




ევროპარლამენტარებმა ევროკომისიასა და ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახურს მოუწოდეს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში მიმდინარე განვითარებების განხილვისას სავაჭრო განზომილებას (რომლის მიღმა უხეში პოლიტიკური წნეხის დგას) გასცდეს და მკაფიოდ დააფიქსიროს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების, ევროპული მისწრაფებებისა და არჩევანის მხარდაჭერა.

ევროპარლამენტარებმა დაადასტურეს მტკიცე მხარდაჭერა ვილნიუსის სამიტის ფარგლებში შეთანხმებების პარაფირებისა და ხელმოწერასთან დაკავშირებით, იმ პარტნიორებთან, რომლებიც ამისათვის მზად არიან და მოუწოდეს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს, გააგრძელონ ვილნიუსის სამიტისათვის მოსამზადებელი პროცესი და არ დანებდნენ რუსეთის ზეწოლას.

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირმა უნდა შეასრულოს აღებული ვალდებულება, რაც გულისხმობს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ იმ ქვეყნებთან ჩართულობასა და დაცვას, რომლებიც რუსეთის მხრიდან ღია, საგანგაშო და ზრდადი წნეხის ქვეშ არიან მოქცეულნი. ამ კონტექსტში, ევროპარლამენტარებმა ევროკომისიასა და საბჭოს მიმართეს, პარტნიორი ქვეყნების მხარდამჭერი კონკრეტული და ეფექტური ღონისძიებები განახორციელონ, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# ჯონდი ბაღათურია: „პრემიერ-მინისტრი არ ბრძანდება იმპერატორი, რომელმაც თავისი მემკვიდრე უნდა დატოვოს“

,,ქართული დასის“ ლიდერის ჯონდო ბაღათურიას განცხადებით, თუ კი პრემიერ-მინისრტრი გადადგება, უნდა ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რომელიც აირჩევს ახალ პარლამენტს და ახალ პრემიერ-მინისტრს. როგორც გუშინ ბაღათურიამ პრაიმ-ტაიმის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პრემიერ-მინისტრი არ ბრძანდება იმპერატორი, რომელმაც თავისი მემკვიდრე უნდა დატოვოს.

„თუ კი პრემიერ-მინისრტრი გადადგება, უნდა ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რომელიც აირჩევს ახალ პარლამენტს და ახალ პრემიერ — მინისტრს. პრემიერ მინისტრი არ ბრძანდება იმპერატორი, რომელმაც თავისი მემკვიდრე უნდა დატოვოს. ამ არჩევნებზე ხალხმა ხმა მისცა ბიძინა ივანიშვილს. საარჩევნო ლოზუნგი იყო ბიძინა ივანიშვილი პრემიერ — მინისტრი, ხალხმა გააკეთა არჩევანი,“ — აცხადებს ბაღათურია.

ბაღათურიას განმარტებით, ის ამ სიტუაციიდან ორ გამოსავალს ხედავს: პირველი — მოხდეს დიალოგი ძირითად პოლიტიკურ სპექტრს შორის, მეორე-საპროტესტო აქციები.

„მოხდეს დიალოგი ძირითად პოლიტიკურ სპექტრს შორის, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების შესახებ თანამედროვე, ცივილური შეთანხმებით. შევთანხმდეთ ვადებზე, თამაშის წესებზე, საარჩევნო კანონმდებლობაზე. ჩვენ ყველა გზით შევეცდებით, რომ პატივისცემით დავარწმუნოთ პირველ რიგში პრემიერ-მინისტრი, რომ მისი წასვლა საზოგადოების უპატივცემლობაა. არავინ ეკითხება ყოფილ პრემიერ-მინისტრს ახალი პრემიერ — მინისტრის დანიშნვას“,— აცხადებს ჯონდი ბაღათურია.

მედიანიუსი

# იუსტიციის მინისტრი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელს ეწვია

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ბრიუსელს სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია, რომლის ფარგლებშიც, ევროკავშირის ოფიციალურ პირებთან შეხვედრებს გამართავს. როგორც „მედიანიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, ვიზიტის ფარგლებში თეა წულუკიანი ევროკომისრებს სესილია მალმსტრომსა და შტეფან ფულეს, ევროკავშირის იუსტიციის საქმეთა დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს შეხვდება. იუსტიციის მინისტრი სიტყვით წარდგება ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომიტეტის წინაშე, სადაც საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრებს, განსაკუთრებულ ყურადღებას კი საქართველოს სამართლის სფეროში მიმდინარე პროცესებზე გაამახვილებს.

თეა წულუკიანის ოფიციალური ვიზიტი ბრიუსელში 20 სექტემბერს დასრულდება.

მედიანიუსი

# სუპერმარკეტიდან ვადაგასული სურსათი ამოიღეს

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა მონიტორინგის შედეგად სუპერმარკეტ „ზღაპარში“ 10 კილოგრამამდე ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი აღმოაჩინეს. სხვადასხვა სახეობის ძეხვი, ყველი, ვიჩინა, ქათმის ღვიძლი, თევზი და სხვა პროდუქტი დაილუქა და უახლოეს დღეებში განადგურდება, — აცნობეს „მედიანიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან.

უწყება აგრძელებს სასურსათო ბაზრის მონიტორინგს, ასევე, გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მედიანიუსი

# გიორგი თარგამაძე სამსახურიდან გათავისუფლებულ პედაგოგებს შეხვდა

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე იმ პედაგოგებს შეხვდა, რომლებიც გასული წლების განმავლობაში სამსახურებიდან გაათავისუფლეს. შეხვედრას პედაგოგებთან ერთად „საქართველოს პედაგოგთა და მშობელთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ლია ნიკოლაიშვილი ესწრებოდა.

როგორც „მედიანიუსს“ პარტიიდან აცნობეს, საუბარი იმ პრობლემებს შეეხო, რომლებიც უმუშევრად დარჩენილ ასეულობით პედაგოგს აწუხებს. უმუშევრობით გამოწვეული უსახსრობის გარდა, ეს მასწავლებლები თვლიან, რომ ისინი უმიზეზოდ გაათავისუფლეს და მათ ღირსება შეულახეს.

„ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ განათლების მიღების ღერძი და გარანტი, პირველ რიგში, არის პედაგოგი და განსაკუთრებით მგრძნობიარენი უნდა ვიყოთ მათი პრობლემებისადმი. „ქართულმა ოცნებამ“ და ხელისუფლებამ, რომელსაც დღეს ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობა აქვს აღებული, მათ შორის განათლების პოლიტიკის წარმოებაზეც, გასცა მნიშვნელოვანი დაპირება, რომელიც უკავშირდებოდა ბოლო წლების განმავლობაში სკოლებიდან პედაგოგების უკანონოდ გათავისუფლების საკითხის მოგვარებას და ამ პედაგოგების ა სამსახურში აღდგენას. გავიდა ერთი წელი და ეს დაპირება სხვა დაპირებების მსგავსად, სამწუხაროდ, არ არის შესრულებული. უმუშევრად და უსახსროდ დარჩენილი მასწავლებლების უკან მათი ოჯახები დგას. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, მასწავლებლებისთვის მიცემული დაპირება დროულად შეასრულონ“- განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

მედიანიუსი

# თბილისში ირანული თვითმფრინავი აფრენიდან რამდენიმე წუთში უკან დაეშვა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გუშინ დილით, ირანული სამგზავრო თვითმფრინავი ტექნიკური პრობლემის გამო აფრენიდან რამდენიმე წუთში უკან დაეშვა.

როგორც ,,მედიანიუსს“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განუცხადეს, თბილისი-თეირანის თვითმფრინავის დაშვება ტექნიკური პრობლემის გამო მოხდა და ის რამდენიმე საათში გაფრინდება.

„ტექნიკური პრობლემა უახლოეს ხანში გამოსწორდება და რეისი თეირანის მიმართულებით შესრულდება“, — აცხადებენ აეროპორტის პრესსამსახურში.

მედიანიუსი

# რუსეთში ქართველი ჯიბის ქურდი დააკავეს

რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, პოლიციის თანამშრომლებმა, ჯიბის ქურდობაში ეჭვმიტანილი დააკავეს, რომელიც, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს პეტერბურგის განყოფილების უფროსის განცხადებით, 40 წლის საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა.

დაკავებულს ქალაქში არც საცხოვრებელი არ გააჩნდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

ნიუსპრესი

# „სვანეთს არ დაგატბორინებთ, თქვენი სახლ-კარი დატბორეთ!“

## სვანები ხუდონჰესის აშენებაზე ვერ დაითანხმეს

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ სვანეთში დიდი ხმაური იყო. ხაიშის მოსახლეობამ დაპირება შეასრულა და ხუდონჰესის წინააღმდეგ მორიგი აქცია გამართა. აქცია რამდენიმე დღის წინ იყო დაანონსებული. ამ ღონისძიებისთვის ადგილობრივი ხელისუფლება სათანადოდ მოემზადა.**





დილიდან ხაიშში სამართალდამცავების მობილიზება შეინიშნებოდა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, სოფელში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით იქნა შეყვანილი პოლიცია. აქციის წინა დღეს მესტიის გამგებელი ამბობდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა გუშინდელ ღონისძიებას მშვიდად ჩაევლო. ცნობისათვის, გუშინ ხაიშში ხუდონჰესის პროექტის განხილვაც გაიმართა.

სვანების დასარწმუნებლად ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი ავიდა. წინა კვირაში ხალხის დასარწმუნებლად ის მშობლიურ მხარეში, ყაზბეგში იყო, სადაც ასევე მოსახლეობა უნდა დაერწმუნებინა ჰესის აშენების აუცილებლობაში. დარწმუნების მაგივრად, მან ადგილობრივების გაღიზიანება გამოიწვია. ელოშვილის განცხადებებმა და დაპირებებმა ვერც სვანების გული ვერ მოალბო.

ხუდონჰესის აშენების იდეამ ნაციონალებს 2010 წელს შეუღიტინა. სვანებმა მაშინვე დაიწყეს საპროტესტო გამოსვლები. ამ თემით კარგად ისარგებლა „ქართულმა ოცნებამ“. ზუსტად ერთი წლის წინ ბიძინა ივანიშვილი სვანეთში იყო, სადაც ადგილობრივებს დაჰპირდა, თუ ხალხი წინააღმდეგი იქნება, ჰესი არ აშენდებაო. ახლა კი ეს დაპირება საერთოდ აღარ ახსოვს და გვაძალებს, სვანეთის დიდი ნაწილის დატბორვას გაგებით მოეკიდეთო.

ჰესის აშენების შემთხვევაში სვანეთში რამდენიმე სოფელი, ათეულობით სასაფლაო, ეკლესია-სალოცავები დაუტბორება. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი სვანებისთვის, მთავრობა კი გაიძახის, გაგებით მოეკიდეთო.

მიმდინარე წლის 7 მაისს ხაიშის თემის მოსახლეობამ წმინდა გიორგის ეკლესიაში, წმინდა გიორგის ხატზე დაიფიცა, რომ გიგანტური ჰესის მშენებლობას არ დაუშვებდნენ. ეს ამბავი, ცხადია, ხელისუფლებამაც შეიტყო, მაგრამ რეაქცია არ ჰქონიათ, პირიქით, ამ მიმართულებით უფრო გააქტიურდნენ.

რამდენიმე დღის წინ სვანებმა ბიძინა ივანიშვილისა და პატრიარქის სახელზე წერილი გააგზავნეს და დახმარება ითხოვეს. ასეთი წერილით პრემიერსა და ილია II-ს რამდენიმე თვის წინ მოხევეებმაც მიმართეს. რამდენიმე დღის წინ ილია II ბიძინა ივანიშვილს შეხვდა და სთხოვა, 2 ჰესის აშენებაზე უარი ეთქვათ. ივანიშვილი პატრიარქის თხოვნას გაგებით არ მოეკიდა. 2 დღის წინ გამოვიდა, მოხევეები და სვანები დაგმო, პატრიარქის შეწუხება როგორ იკადრეთ ჰესების ამბავზეო.

იმავე საღამოს კახა კალაძე გამოვიდა ტელევიზიით და იმაში გვარწმუნებდა, ჰესები გარემოს დიდად რომ არ აზიანებს, ამასთან, პირობაც მოგვცა, მოსახლეობის ნებას აუცილებლად გავითვალისწინებთო. მისივე მტკიცებით, არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოწადინებულნი არიან, რომ რაც შეიძლება მეტი გრანტი მიიღონ იმისათვის, რათა ჰიდროელექტროსადგურები არ აშენდეს ქვეყანაში.

– საპროტესტო აქციები მიზანმიმართულად ხდება, რადგან არსებობენ ძალები, რომლებიც ტყის ბიზნესით არიან დაკავებულნი, ასევე, არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციების კატეგორია, რადიკალები, რომლებიც არიან მოწადინებულნი, რაც შეიძლება მეტი გრანტი მიიღონ იმით, რომ ჰიდროელექტროსადგურები არ აშენდეს ქვეყანაში. ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, მათ ქვეყნის ბედი არ აინტერესებთ. არ აინტერესებთ ის, თუ რამდენად სტრატეგიულია ასეთი ჰიდროელექტროსადგურების აშენება. მოსახლეობას აქვს ერთგვარი შიში, თითქოს მთავრობა ყველაფერს მათ გარეშე გააკეთებს, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა და ამ ადამიანებს არავინ ელაპარაკებოდა და არ უხსნიდა, რა კეთდებოდა, რამდენად მნიშვნელოვანი და სტრატეგიულია ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. არც ერთი ნაბიჯი არ იქნება გადადგმული მათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე, – განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

მოსახლეობა კი ჰესის აშენების წინააღმდეგია და ეს გუშინ გამართულ ღონისძიებაზეც გამოჩნდა. ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრამ ხმაურით ჩაიარა. აქციაში ყველა ასაკის ხალხი, მათ შორის ბავშვებიც მონაწილეობდნენ.

ხუდონჰესის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვის დაწყებამდე 20-მდე ხაიშელმა საჯაროდ დაიფიცა ხატზე, უფრო ზუსტად, ისინი შეუერთდნენ იმ ფიცს, რომელიც სვანებმა მიმდინარე წლის მაისში დადეს. ფიცი სოფლის წმინდა გიორგის ტაძარში ინახება. ის ჟურნალმა „ლიბერალმა“ გამოაქვეყნა. „ახალი თაობაც“ უცვლელად გთავაზობთ ფიცის ტექსტს:

– დამხობაი ბოროტმსახურთა, ეგრეცა ღრმთისმოძულეთა დაქცევისათვის

1) არსენ იყალთოელის თარგმანი, შესულია შიო მღვიმელის ტიპიკონში.

2) არის ძეგლის წერაშიც.

3) ექვთიმე ათონელის თარგმანი კონსტანტინოპოლის კრებებიდან, რომელიც I და II საუკუნეებიდან იღებს სათავეს.

იკითხება მართლმადიდებლობის ზეიმზე

... რომელნი უკუე ჯუარსა უფლისასა, ძელსა ცხოველსმყოფელსა, რომელსა ზედა ქრისტემან მეუფემან დიდებისამან ხელნი განიპყრა, არა თაყუანის-სცემენ და არცა პატივს მიაგებენ მას, შეჩუენებულ უიყუნედ!

...რომელნი ეკლესიისა მტერნი, მოღალატენი, ორგულნი, შინა გამცემელნი და ყოველნი, რომელთა ურთიერთარს გარდასცნეს ბოროტნი წმიდისა ეკლესიისათვის და სხუათა მონაცვლეთ ექმნეს ბოროტადმსახურებასა, შეჩუენებული იყუნედ!

...რომელნი მტერნი სამშობლოისა ჩუენისანი და ყოველნი წინაალმდგომნი, ბოროტად მებრძოლნი, გამცემელნი, ორგულნი და მოღალატენი, დაამხუნეს იგინი ღმერთმან ჩუენმან საკვირველებამათან სილაღეი მათი მიწად დააკუეთეს, შეჩუენებულ იყუნედ!

ხაიშის თემის მცხოვრებნი ვიფიცებით იმაზე, რომ გამოვხატავთ ნებას ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგოდ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს მშენებლობა მიმართულია არა მხოლოდ ხაიშის, არამედ სვანეთის და, შესაბამისად, საქართველოს საზიანოდ და ყველა, ფიცის ქვეშ მყოფნი ერთიანად მივიღებთ გადაწყვეტილებას ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით.

### ფიცის ტექსტი

ვფიცავ, არ დავიშურებ ძალ-ღონესა და ჭკუა-გონებას, რომ ხაიშის წმინდა გიორგის მოქმედი ტაძარი, სასაფლაოები, ხაიშის თემი და მასში შემავალი სოფლები არ მოექცნენ წყალქვეშ, – ნათქვამია ტექსტში.

გუშინ დილიდან ხაიშში, როგორც უკვე ვთქვით, პოლიცია იყო მობილიზებული. ეს ფაქტი არასამთავრობოებმა მოსახლეობაზე ზეწოლად აღიქვეს.

– შეკრებილია მთელის სოფელი. ჩამოსულია მინისტრის მოადგილე, მობილიზებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიცია. ჯერ არ დაწყებულა განხილვა. ინციდენტი იყო დილას, როდესაც სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე ამოვიდა „ტრანსელექტრიკა ლიმიტედის“ გენერალურ დირექტორთან ერთად ოფისის შესარჩევად. გამოვიდა ისე, რომ მოხდა მისი მხრიდან ირიბი ზეწოლა მოსახლეობაზე. კერძოდ, მან მოუწოდა მოსახლეობას, არ გამოეყენებინათ პოსტერები, პლაკატები, არ ელაპარაკათ ხმამაღლა და საერთოდ არ აეწიათ ხმისთვის და ყველაფერი ჩატარებულიყო დღეს წყნარად, – განუცხადა „ნეტგაზეთს“ განხილვის დაწყებამდე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა დათო ჭიპაშვილმა, რომელიც ამჟამად ხაიშში იმყოფებოდა.

ჭიპაშვილის თქმით, პრემიერ-მინისტრის გუშინწინდელი განცხადება ირიბი ზეწოლაა სამინისტროებზე იმისათვის, რომ მათ ხუდონჰესის მშენებლობას დაუჭირონ მხარი.

– მაშინ, როდესაც ჯერ საჯარო განხილვაც არ ჩატარებულა პრემიერ-მინისტრი გამოდის და გადაწყვეტილად მიიჩნევს პროექტის განხორციელებას, რაც ასევე პირდაპირი ზემოქმედებაა შესაბამის სამინისტროებზე, ვგულისხმობ ეკონომიკის სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროს. მათ, პრაქტიკულად, აიძულებენ, რომ გასცენ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, – განაცხადა დათო ჭიპაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა 16 სექტემბერს „შუახევიჰესის“ მშენებლობის საფუძვლის ჩაყრისას ხუდონჰესთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა და განაცხადა, რომ, თუ საჭირო გახდებოდა, თავად ავიდოდა ხაიშში.

– თუ საჭირო იქნება, მეც თვითონ ვაპირებ ასვლას. ხაიში არის სოფელი და იცით, რომ სოფლის გასახლება გვიწევს. აბსოლუტურად თანავუგრძნობ თითოეულ მოსახლეს. იცოდეთ, რომ ამას მსოფლიო ბანკი აკეთებს, ეს კეთდება ძალიან ცივილიზებულად, ძალიან კარგი შემოსავალი ექნება თითოეულ ოჯახს, თუმცა მაინც განცდები გასაგებია. შესაბამისად, თანაგრძნობას ვუცხადებ, მაგრამ მათ უნდა გაიგონ, რომ ისინი ქვეყნის მომავალს ეხმარებიან და ამისთვის იღებენ გარკვეულ მსხვერპლს, თუმცაღა ანაზღაურება იქნება ძალიან ცივილიზებული და ძალიან ღირსეული. მე მივმართავდი და ვისარგებლებდი შემთხვევით, გაგებით მოეკიდონ ჩვენი მეგობრები და ჩვენი საყვარელი ხალხი, ჩვენ მაქსიმალურად დავუდგებით გვერდით და მაქსიმალურად ავუნაზღაურებთ იმ ემოციურ დანაკარგს, მატერიალურად და ფინანსურად, რა თქმა უნდა. პატრიარქის თხოვნა იყო ძალიან საინტერესო ზუსტად ხუდონჰესთან დაკავშირებით. ჩვენ თავში გვქონდა გარკვეული პოლემიკაც კი, მაგრამ სწრაფად გაიგო ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა ნაცვლად იმისა, რომ მოეთხოვა შეჩერება ჩვენ ბოლოში შევთანხმდით იმაზე, რომ ის აუხსნიდა მოსახლეობას, რომ აუცილებელია ასეთი ჰესების მშენებლობა. ჩვენ, გარდა იმისა, რომ გვაქვს ლამაზი ბუნება, ჩვენ კარგად უნდა გავიგოთ, რომ მარტო ლამაზი ბუნება საკმარისი არაა კარგი ცხოვრებისათვის, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა 16 სექტემბერს.

ხელისუფლების დიდი სურვილის მიუხედავად, განხილვაზე უამრავი ხალხი მივიდა. ამის გამო განხილვა სკოლის შენობის ნაცვლად სკოლის ეზოში გაიმართა. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის განცხადებებმა მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვია.

მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილის განცხადებით, თუ ჰესი არ აშენდება, აფხაზეთსა და ოსეთს ვერ დავიბრუნებთ.

– დაკარგულ ტერიტორიებს მის გარეშე ვერ დავიბრუნებთ, რადგან ეს პროექტი პირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარებასთან, თავის მხრივ, კონფლიქტების მოგვარება კი ეკონომიკასთან, – განაცხადა ელოშვილმა.

ხაიშელები მას სიტყვას სტვენითა და შეძახილებით აწყვეტინებდნენ,

– „ჩვენს ხარჯზე ნურაფერს გააკეთებთ, ვინც ამას გეგმავს, ის ჩვენი მტერია“, „თქვენი სახლ-კარი დატბორეთ“; „ხელები შორს სვანეთისგან“; „გაანებეთ სვანებს თავი“, – აცხადებდნენ სვანები.

შელაპარაკება მოხდა ადგილობრივ ახალგაზრდებსა და დათო მირცხულავას შორისაც. მირცხულავა „ტრანსელექტრიკას“ ტექნიკური დირექტორია.

კომპანია „ტრანსელექტრიკას“ წარმომადგენლების მიერ მომზადებული პრეზენტაცია ჩაიშალა. კომპანიის წარმომადგენლები ხაიშელებს ამაოდ მოუწოდებდნენ, გარემოზე შემოქმედების შეფასების ანგარიში მოესმინათ და პრეზენტაციას დასწრებოდნენ, თუმცა შეკრებილებმა უარი განაცხადეს.

კომპანიის დირექტორმა პაატა წერეთელმა განაცხადა, რომ მზადაა, მოსახლეობის 15-20-კაციან ჯგუფთან ერთად გამართოს სამუშაო შეხვედრები და, იმ შემთხვევაში, თუ კერძო საკუთრებასა და მათთვის გადაცემულ მიწებს შორის აღმოჩნდება ზედდება, მოსახლეობას არც ერთი გოჯი მიწა არ დაეკარგება და ყველა ხარჯს თავად აანაზღაურებენ.

კომპანიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ პრეზენტაციას მაინც ჩაატარებდნენ თბილისიდან ჩამოსული სტუმრებისთვის, თუმცა საჯარო სკოლასთან შეკრებილი ხაიშელები შენობაში შევიდნენ და მათ პრეზენტაციის გამართვის საშუალება არ მისცეს.

გუშინ განმარტებების გაკეთება გარემოს დაცვის სამინისტროსაც დასჭირდა. ერთი ტელეკომპანიის ეთერში გასულ სიუჟეტში, რომლის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაცემულია და, დასკვნის პირობების დაცვის შემთხვევაში, ეკოლოგიური საფრთხე არ იარსებებს.

– გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და მცდარი ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, განმარტავს, რომ მინისტრ ხათუნა გოგალაძის კომენტარი ეხებოდა აჭარის რეგიონში შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ მშენებარე „შუახევიჰესს“ და არა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურს. ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი ამ ეტაპზე საჯარო განხილვის საგანია“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ინდური კომპანია „ტრანსელექტრიკა“ გეგმავს ზემო სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდინარე ენგურის ხეობაში, 702 მგვტ სიმძლავრის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის (შემდგომში – ხუდონჰესი) მშენებლობას, რომლის საშუალო წლიური გამომუშავება 1.5 მლრდ. კვტ/სთ შეადგენს. ხუდონჰესის კაშხლისთვის შერჩეული უბანი მდებარეობს ენგურჰესის არსებული თაღოვანი კაშხლის უბნიდან ზედა წელში, კაშხლიდან 32 კმ-ის დაშორებით და სოფელი ხაიშიდან 4 კმ-ით სამხრეთით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გათვალისწინებულია მდინარე ენგურის 519,5 და 700 მ.ზ.დ. ნიშნულებს შორის 364,5 მლნ. კუბ.მ მოცულობის სეზონური რეგულირების ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის თაღოვანი კაშხლის სიმაღლე 200 მეტრია, წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი კი – 528 ჰექტარი.

„მწანე ალტერნატივის“ განმარტებით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, პირდაპირი (უშუალოდ დატბორვის ზონაში) და ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოხვდება ხაიშისა და ჭუბერის თემის სოფლები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები, ორი ეკლესია, საფლავები, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, მათ შორის, შუასაუკუნოვანი ხაიშის ციხე და ხაიშში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, I საუკუნით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლი, ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, ხოლო გადასახლება მოუწევს დაახლოებით 2000-ზე მეტ ადამიანს, რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს პოლიტიკური რისკების გაზრდას ქვეყნისთვის.

გუშინდელმა დღემ აჩვენა, რომ მოსახლეობა ხუდონჰესის აშენების წინააღმდეგია. ივანიშვილი და კალაძე ამბობენ, რომ მოსახლეობის აზრს გაითვალისწინებენ, მაგრამ ჰესს მაინც ააშენებენ.

# დავით უსუფაშვილი ცრუ შეტყობინებების ავტორთა ან მათი მშობლებისაგან მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, იმ პირთა ან მათი მშობლების მიმართ სასამართლოში სარჩელის შეტანას და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, რომლებმაც პარლამენტის შენობაში ბომბის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინებები გაავრცელეს.

პარლამენტის თავმჯდომარე ამ პირთა საკონტაქტო ინფორმაციების მიწოდების თხოვნით, შინაგან საქმეთა მინისტრს ოფიციალურად მიმართავს.

„ბოლო ხანებში, საქართველოს პარლამენტის შენობის დაცლა ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ ცრუ სატელეფონო შეტყობინების გამო, სამჯერ მოხდა. ჯამში, პარლამენტის ნორმალური ფუნქციონირება 15 საათის განმავლობაში შეწყდა, რამაც მორალურ-პოლიტიკურთან ერთად, პარლამენტს, წინასწარი მონაცემებით, 50 000 ლარამდე ოდენობის ქონებრივი ზიანი მიაყენა. მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს, მიაწოდოს პარლამენტს ცრუ შეტყობინების ავტორთა (არასრულწლოვნების შემთხვევაში, მათი მშობლების) მონაცემები, რათა, საქმის სასამართლოში განხილვის პარალელურად, მომზადდეს სამოქალაქო სარჩელი პარლამენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით“ – ნათქვამია დავით უსუფაშვილის მიმართვაში.

ნიუსპრესი

# „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ შენობაში ბომბის შესახებ ცრუ შეტყობინების ავტორი 9 წლის ბავშვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ცრუ შეტყობინების კიდევ ერთი ავტორის ვინაობა დაადგინეს. პირი, რომელმაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და „იმედი“-ს შენობაში ბომბის არსებობის შესახებ შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის ოპერატორს ინფორმაცია მიაწოდა, ასპინძაში მცხოვრები არასრულწლოვანი, 2004 წელს დაბადებული მილერ ბ. აღმოჩნდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, არასრულწლოვანმა 112-ში ზარი, 10 წუთის ინტერვალით ორჯერ განახორციელა. შეტყობინებისთანავე შსს-ს შესაბამისი სამსახურები ორივე ტელეკომპანიის შენობებთან გამოცხადდნენ. გამნაღმველების მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ შეტყობინება ცრუ იყო და ასაფეთქებელი მოწყობილობა არცერთ შენობაში არ აღმოჩნდა. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობის ფაქტზე, სსსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

# პარლამენტის შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ავტორს 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ში შესული ცრუ შეტყობინების ავტორი დააკავეს. ანონიმური სატელეფონო ზარის ავტორი, რომელიც ბომბის არსებობას ქუთაისში მდებარე საქართველოს პარლამენტის შენობაში იტყობინებოდა, აბაშაში მცხოვრები 1994 წელს დაბადებული ოთარ ჯ. აღმოჩნდა. მან 112-ში, ცრუ შეტყობინება 16 სექტემბერს, 14:38 საათზე განახორციელა.

შეტყობინებისთანავე საკანონმდებლო ორგანოში შსს-ს შესაბამისი სამსახურები გამოცხადდნენ, რომლებმაც შენობაში მყოფი მოქალაქეები ევაკუაცია განახორციელეს. ჩატარებული განაღმვითი სამუშაოების შედეგად, შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობის ფაქტზე, სსსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

# „პროკრედიტ ბანკთან“ დაკავშირებით ცრუ შეტყობინების ავტორი დაკავებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული ნოდარ ა., ცრუ შეტყობინების ბრალდებით დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში დარეკა და მათ, ხაშურში „პროკრედიტ ბანკში“ ნაღმის არსებობის შესახებ აცნობა.

სამართალდამცველები ადგილზე შეტყობინებისთანავე გამოცხადდნენ. შესაბამისი წესების დაცვით, შსს-ს გამნაღმველთა სამსახურმა და კინოლოგებმა იმუშავეს, რის შედეგადაც გაირკვა,რომ განგაში ცრუ იყო და შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობა არ დადასტურდა.

სამართალდამცველებმა ცრუ შეტყობინების ავტორის ვინაობა დაადგინეს და ის ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში დააკავეს. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე სსსკ-ს 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

# ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო პროგრამა ერთ კვირაში გამოქვეყნდება

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერისა და პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო პროგრამა, პარტიის ვებ-გვერდზე დაახლოებით ერთ კვირაში განთავსდება. ინფორმაციას ამის შესახებ პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

„საქართველოს მოსახლეობასთან შეხვედრის პირველი ტური დასასრულს უახლოვდება. სექტემბრის ბოლომდე დაგეგმილია შეხვედრები ყველა იმ რაიონსა და სოფელში, სადაც ნინო ბურჯანაძე პირველი ტურის ფარგლებში ჯერ არ ყოფილა. შემდეგ კი, პრეზიდენტობის კანდიდატი საქართველოს კიდევ ერთხელ შემოივლის.

შეხვედრები რეგიონებში კითხვა-პასუხის რეჟიმში იმართება, იმისათვის რათა პრეზიდენტობის კანდიდატმა მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს ადგილზე არსებულ რეალურ მდგომარეობაზე, მოისმინოს ის, თუ რა აწუხებს და რა პრობლემები აქვს თითოეულ ჩვენს თანამემამულეს და ამის მიხედვით შესაბამისი კორექტივები შეიტანოს საკუთარ საპრეზიდენტო პროგრამაში.

ამჟამად, ამ შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და პროგრამის საბოლოო ვარიანტზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს, რომელიც ერთი კვირის მანძილზე დასრულდება და „დემოკრატიული მოძრაობის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე დემოცრატს.გე განთავსდება“ – ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში.

ნიუსპრესი

# სოზარ სუბარი: „სასჯელაღსრულების სისტემაში პროვოკაციაა მოსალოდნელი“



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი, სასჯელაღსრულების სისტემაში მოსალოდნელ პროვოკაციებზე საუბრობს.

როგორც მინისტრმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, არის ინფორმაცია, რომ ოპონენტები ციხეებიდან გარკვეული შინაარსის ვიდეომასალების მოპოვებას ცდილობენ, რათა შემდგომში სისტემის დისკრედიტაცია მოახდინონ.

„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, როგორ მუშაობენ ჩვენი ოპონენტები მსჯავრდებულებთან და მათი ოჯახის წევრებთან, ასევე, ჩვენს მიერ სისტემიდან დათხოვნილ თუ ჯერ კიდევ მოქმედ ზოგიერთ თანამშრომელთან კომპრომატების მოპოვებისა თუ მათი ხელოვნურად შექმნის მიზნით. მათი მიზანია მოიპოვონ ან ხელოვნურად შექმნან ვიდეოჩანაწერები, სადაც ასახული იქნება მსჯავრდებულებს შორის კონფლიქტები და არეულობის სცენები, რათა შემდეგ ეს ჩანაწერები სისტემის დისკრედიტაციისთვის გამოიყენონ“– განაცხადა სოზარ სუბარმა.

ნიუსპრესი

# ირაკლი ალასანიამ ჰელმანდის პროვინციაში ქართველი ჯარისკაცები მოინახულა

თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტს განაგრძობს. მინისტრი ირაკლი ალასანია და გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია, ჰელმანდის პროვინციაში მდებარე ქართულ ბაზა „ერედვს“ ესტუმრნენ და 42-ე ბატალიონის ჯარისკაცები მოინახულეს.



ქართველ სტუმრებს აისაფის მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებმა, ადგილზე არსებული სიტუაცია პირადად მოახსენეს. თავდაცვის მინისტრი დეტალურად გაეცნო ქართული შენაერთის პასუხისმგებლობის რაიონში არსებულ ოპერატიულ ვითარებას.

„დღეს ჩვენ 42-ე ბატალიონში ჩამოვედით. ეს ის შენაერთია, რომელმაც ყველაზე დიდი და მძიმე დანაკლისი განიცადა, მაგრამ ურთულესი ამოცანის შესრულება მაინც შეძლო.

ის, რომ დღეს მტერი ჰელმანდის რაიონის ამ კუთხეს იოლად ვეღარ უტევს, ამ ბიჭების დამსახურებაა. საქართველოში მუდმივად გვემახსოვრება ჩვენი ვაჟკაცები, რომლებიც ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. რაც მთავარია, ეს ჯარისკაცები არიან საქართველოს სახელმწიფოებრიობის სტაბილურობის საფუძველი ავღანეთიდან. დიდი სიამაყით ვართ სავსე, რომ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები ასეთ რთულ ვითარებაში წარმატებით და პროფესიონალურად ართმევენ თავს დაკისრებულ ამოცანებს. ისინი ახლო კავშირში არიან ამერიკელ სამხედროებთან და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ოპერაციებში უკვე ჩართეს ავღანური უსაფრთხოების ძალები, რაც პასუხისმგებლობის გადაბარებით უნდა დასრულდეს“ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

42-ე ბატალიონის მონახულებისას, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ქართველი სამხედრო მოსამსახურეები უწყებრივი მედლებით „გენერალი მაზნიაშვილი“ და „სამშობლოსათვის თავდადებული,“ პირადად დააჯილდოვა.

ვიზიტის ფარგლებში, ბაზა „ლეზერნიკზე“ რეგიონალური სარდლობა სამხრეთ-დასავლეთის მეთაურთან გენერალ-მაიორ ვოლტერ მილერთანაც გაიმართა შეხვედრა. მხარეებმა აისაფის ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. კოალიციის სარდლობამ ქართველ სტუმრებს ოპერაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

ამ დროისთვის სამშვიდობო მისიის ფარგლებში ავღანეთში 1600-მდე ქართველი მსახურობს. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები აშშ-ის საზღვაო ქვეითების მხარდაჭერით, სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებენ. მათი მთავარი ამოცანა ტერორიზმთან ბრძოლა, პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და მოძრავი საკონტროლო საგუშაგოების მოწყობაა.

მედიანიუსი

# ნინო ბურჯანაძე საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელს შეხვდა



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრებს განაგრძობს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში, პარტიის ლიდერი გუშინ, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელს კატერინა ბოლონიეზეს შეხვდა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელი, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას სამართალდარღვევათა კონკრეტული ფაქტებით, წინასაარჩევნო გარემოთი და ასევე არჩევნების შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით ნინო ბურჯანაძის შეხედულებით დაინტერესდა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო გარემო ბევრად თავისუფალია, კამპანია მაინც არასამართლიან და არათანაბარ გარემოში მიმდინარეობს.

„ძირითადი კონკურენტებისგან განსხვავებით, მე არ მაქვს შესაძლებლობა ვისარგებლო უფასო სარეკლამო დროით, ხოლო საარჩევნო კომისიები მხოლოდ სახელისუფლებო პარტიების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული“ – აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა“ ყოველკვირეული საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვებას აპირებს, რათა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების დროული ინფორმირება მოხდეს.

ნიუსპრესი

# რიჩარდ ნორლანდი: „რეგიონში უსაფრთხოების ზომების შენარჩუნება აუცილებელია“

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დამატებითი ბარიერების აღმართვას, სადემარკაციო ხაზის გავლებას და საოკუპაციო რეჟიმის მიერ სოფელ დიცის ტერიტორიაზე გადმოწევას, საქართველოში ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ ნორლანდი გამოეხმაურა.

ელჩის განცხადებით, ეს პროცესი პირველ რიგში პრობლემას სოფლის მეურნეობასა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას უქმნის.

„ ხელოვნური საზღვრის აღმართვის პროცესი ნორმალურ ურთიერთობებს ხელს უშლის. მაგალითად, როდესაც ადამიანს სამედიცინო დახმარების გაწევა სჭირდება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, მან რომ საზღვრის გადმოლახვა ვერ შეძლოს, ის ადამიანი დაიღუპება. ამასთან, რასაკვირველია პირველ რიგში აუცილებელია რომ მთელს რეგიონში უსაფრთხოების ზომები იქნას შენარჩუნებული, განსაკუთრებით ოლიმპიური თამაშების წინ“– განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.



შეგახსენებთ, რომ სოფელ დიცის ტერიტორიაზე, დღეს დილიდან რუსი სამხედროები ე.წ. საზღვრის სადემარკაციო სამუშაოებს ახორციელებენ. აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოები დაახლოებით თვენახევრის წინაც მიმდინარეობდა, თუმცა ის გარკვეული დროის განმავლობაში შეჩერდა. ე.წ. სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში, არსებობს საფრთხე, რომ საცხოვრებელი სახლები და ასევე სოფლის სასაფლაოც, ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოექცეს.

მედიანიუსი

**სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:**

1. მანქანათმშენებლობის პრობლემათა განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
2. მანქანათა დინამიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
3. მანქანათმშენებლობის პრობლემათა განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 3 საშტატო ერთეული;
4. მანქანათა დინამიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 3 საშტატო ერთეული;
5. მობილური მანქანების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;
6. მობილური მანქანების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
7. მანქანათა დინამიკის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული;
8. მობილური მანქანების განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული;
9. საინჟინრო-ტექნიკური განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული;
10. მძღოლი – 1 საშტატო ერთეული;

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე – 232 90 17.

# თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილის განცხადება ქვეყანაში არასტაბილურობის შეგრძნებას ქმნის“

შორენა კოწოწაშვილი

**ეროვნული მოძრაობის წევრი თამარ ჩხეიძე ივანიშვილის ხელისუფლების ანტიდემოკრატიული და პრორუსული ნაბიჯების გაძლიერებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ პრემიერის წასვლა იმათ ინტერესებშია, ვისაც მასზე უფრო პრორუსი ნინო ბურჯანაძის მოყვანა უნდა საქართველოს ხელისუფლებაში.**

**თამარ ჩხეიძე დარწმუნებულია, რომ კოაბიტაციის პროცესის ლანძღვა და სამართლიანობის აღდგენაზე აპელირებაც გარე ძალების ინტერესებშია და ეს ყველაფერი ბურჯანაძის წისქვილზე ასხამს წყალს.**

**რატომ გამოატანეს რუსეთიდან პოლიტიკური ინტერესებისთვის მილიარდები და მართლაც საკუთარი შვილის თხოვნით მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ხელმძღვანელ თამარ ჩხეიძესთან.**



*– ქალბატონო თამარ, საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიციის ლიდერები ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ბევრს საუბრობდნენ. მაშინდელი ოპოზიციონერები პირობას დებდნენ, რომ მთელი რიგი პრობლემები ხელისუფლების შეცვლიდან მოკლე ვადაში მოგვარდებოდა. რამდენად მოახერხა მართლაც კოალიციურმა მთავრობამ ამ პირველი რიგის ამოცანების მოგვარება და თუ ფიქრობთ, რომ ვერ შეძლო, რას მიიჩნევთ ამის მიზეზად?*

– საერთოდ, მე არ ვფიქრობ, რომ ისინი მოსული არიან პოზიტიური გაგებით რაიმე პირველი რიგის ამოცანების შესასრულებლად. ჩემი აზრით, მათ რა ამოცანებიც ჰქონდათ დასახული, იმ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგეს. რა თქმა უნდა, იმ ამოცანების მოსაგვარებლად, რაც მათ ჰქონდათ დასახული, ასე ვთქვათ, თავიანთი ხელისუფლებაში მომყვანი ძალის მიერ, ყველაფერი გააკეთეს. მაგრამ, რაც შეეხება სოციალური თვალსაზრისით მათი ამოცანების შესრულებას, ამ მხრივ მათ დაპირების შესრულების სურვილი არ გამოუჩენიათ; რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს, მაგრამ, საერთოდ, ზოგადად ამ ხელისუფლების ხელში ქვეყნის განვითარებას უფრო უარყოფითი ტენდენციები აქვს. მაგ მხრივაც, რაზეც იყო საუბარი – სოციალურ მხარეზე, შესამჩნევი არაფერია. ეკონომიკაც უფრო უკან წავიდა. საერთოდ, არც ერთ ეტაპზე არ ეტყობოდა ამ ხელისუფლებას რაღაც სურვილი და მონდომება, რომ რაიმე გააუმჯობესონ ქვეყანაში, ზოგადად არ ეტყობათ, რომ ამისთვის არიან მოსული. აშკარაა, რომ ეს პარლამენტი არა მხოლოდ უსუსურია, არამედ ანტისახელმწიფოებრივიც.

***– საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები ოპოზიციაში ყოფნის დროს აცხადებდნენ, რომ აუცილებელი იყო ქვეყანაში სისტემური ცვლილებების განხორციელება. ამ კუთხით თუ არის დადებითი ძვრები?***

– ამ კუთხით აბსოლუტურად არაფერი კეთდება. ზოგადად შემიძლია გითხრათ: რა სისტემაც პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა, ის სისტემა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ყველა შემდგომი ხელისუფლების პირობებში კიდევ უფრო ბევრი ნაბიჯი იდგმება სისტემის ანტიდემოკრატიზაციისკენ და არა დემოკრატიზაციისკენ; უფრო მეტად გამოიკვეთა ანტიდემოკრატიული ტენდენციები, პოლიტკური ნიშნით დევნა და ა.შ., ვიდრე ეს იყო წინა ხელისუფლების დროს. ზოგადად, სისტემა, როგორც ასეთი, პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის დამახასიათებელი სისტემა ანუ ტიპური სისტემა უცვლელი დარჩა.

***– რითი ხსნით იმას, რომ ხელისუფლება სისტემურ ცვლილებებზე არ წავიდა? არასაპარლამენტო ოპოზიციაში ამას კოაბიტაციას უკავშირებენ, რომელიც, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა განცხადებით, საქართველოში დამნაშავე რეჟიმთან თანამშრომლობაში გადაიზარდა.***

– „ქართული ოცნება“ დემოკრატიზაციაზე იმიტომ არ წავიდა ელემენტარულად, რომ მათი ბუნება არ არის დემოკრატიული; მენტალიტეტი არ არის დემოკრატიული. აქედან გამომდინარე, მათ ეს მიზანი არც ჰქონიათ დასახული, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ განეხორციელებინათ. რაც შეეხება სიტყვა კოაბიტაციას, რომელსაც ყველა თავს მოვალედ თვლის, რომ მიაფურთხოს, ლანძღოს და აგინოს, მე, უბრალოდ, ძალიან გაოცებული ვარ ქართველი საზოგადოებით. შეიძლება, ფართო ფენები ვერ იყვნენ სამართლებრივ ან პოლიტიკურ საკითხებში გათვითცნობიერებული, მაგრამ, წესით, პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ ამ სიტყვის მნიშვნელობა. კოაბიტაცია – ეს არ არის რაიმე პოლიტიკა დადებითი ან უარყოფითი. ეს არის ფაქტი, უბრალოდ; არჩევნების შედეგად შექმნილი ფაქტი: საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ერთმა ძალამ, მანამდე – მეორე ძალამ. კოაბიტაცია არც სალანძღავი სიტყვაა, არც საქებარი. ეს არის ელემენტარულად შექმნილი ვითარება, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოში სხვადასხვა პარტია არის უმრავლესობაში. აქ, რა თქმა უნდა, მათ შორის უნდა მოხდეს შეთანხმებული მოქმედება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას ერთი აზრი ჰქონდეს. გარკვეული შეთანხმება თუ არ მოხდა და ეს ხელისუფლების შტოები ერთმანეთს დაუპირისპირდა, მძიმე შედეგები მოჰყვება. მე არ ვიცი, ამისკენ მოუწოდებენ, რომ ომი უნდა დაიწყოს? ეს არის წარმოუდგენელი უმეცრება ზოგადად ქართული საზოგადოების და კონკრეტულად პოლიტიკოსების, რომლებიც კოაბიტაციას გმობენ, მას აფასებენ, როგორც უარყოფით მოვლენად და ა.შ. ეს საერთოდ არ არის შესაფასებელი არც უარყოფითად და არც დადებითად. ეს არის ელემენტარული ფაქტი – არჩევნების შედეგი. ელემენტარული უმეცრებაა ქართველი საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების, როდესაც ამაში მორალურ მნიშვნელობას დებენ. ფაქტია, თუ არ გვინდა სამოქალაქო ომი, ამ რეალობაში უნდა ვიცხოვროთ.

***– იქნებ მართლაც საზოგადოებაში კოალიციური ხელისუფლებისადმი უარყოფითი მუხტის გასაძლიერებლად ხდება კოაბიტაციის პროცესის ლანძღვა და დისკრედიტება?***

– რასაკვირველია, ეს არის შედეგი, უპირველესად ყოვლისა, ზოგადად სისულელის, უმეცრების. რასაკვირველია, ხელოვნურადაც დაინტერესებულია ჩვენთვის კარგად ცნობილი ერთი ჩვენი მეზობელი, საქართველოში რაც უფრო დაიძაბება სიტუაცია და რაც უფრო უკულმართად წავა პროცესები და სამოქალაქო დაპირისპირებისკენ, რუსეთს ეს უფრო აწყობს, ვიდრე ქვეყანა ნორმალური გზით განვითარდეს. აქედან გამომდინარე, ცხადია, ეს პროცესი შეიძლება წაქეზებულიც არის გარედან.

***– პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძეს თუ წაადგება ის ტენდენცია, რომელიც საზოგადოებაში თუნდაც გარედან ჩარევით, კოაბიტაციასთან მიმართებით წარმოიშვა?***

– კი, რა თქმა უნდა. ნინო ბურჯანაძე ძალიან აქეზებს ანტიკოაბიტაციურ განწყობებს და ამაზე აგებს თავის გამოსვლებს. აქ, ზოგადად, გამოყენებულია ის ფაქტორი, რომ ყველა საუკუნეში არსებობს საზოგადოებაში სისხლის წყურვილი. ეს პირდაპირი გაგებითაც შეიძლება იქნეს გაგებული და არაპირდაპირი გაგებითაც სისხლის წყურვილი მასების გარკვეულ ნაწილში. ეს მასებს, ზოგადად, ისტორიულად ახასიათებს. ამაზე თამაში და ამის წახალისება კიდევ ახასიათებს უარყოფითი მოწოდების მქონე პოლიტიკოსებს. კონსტრუქციულმა და ქვეყანაზე მოფიქრალმა პოლიტიკოსმა არ შეიძლება არ შეიძლება წააქეზოს საზოგადოებაში დაპირისპირება და კლასებად დაყოფა; საერთოდ, შეურიგებელი განწყობა, როგორც ასეთი, მით უმეტეს, ყველაზე ნაკლები უფლება აქვს, რომ ეს გააკეთოს ნინო ბურჯანაძეს, რომელიც დღეს აქეზებს ნაციონალების წინააღმდეგ ცეცხლზე ნავთს ასხამს. მას ყველაზე ნაკლები უფლება აქვს ამისი და სხვათა შორის ბიძინა ივანიშვილსაც. სამწუხაროდ, პრემიერზეც იგივე შემიძლია გითხრათ. ყველაზე ნაკლები უფლება მათ აქვთ იმიტომ, რომ ყველაზე ცუდ პერიოდში ნაციონალური ხელისუფლების, სხვათა შორის, ნაციონალები ყველაზე ბოროტ საქმეებს ხელისუფლებაში მოსვლის დასაწყისში აკეთებდნენ. მერე გარკვეული, მცირედი ტრანსფორმაცია მაინც განიცადეს. ამ პერიოდში ივანიშვილიც და ბურჯანაძეც მათი ამ საქმიანობის შემადგენელი ნაწილი იყვნენ. მაშინ მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. ზოგადად, რასაკვირველია, სიძულვილის გაღვივება მასებში და სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით გამოსვლა, ეს რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ დემაგოგიაა. ისინი სინამდვილეში არავითარ სამართლიანობაზე არ ლაპარაკობენ. ეს არის დემაგოგია და, ბუნებრივია, ეს გამოყენებულია რუსეთის მიერ, რომ საქართველოში მუდმივად მოიყვანოს რუსეთიდან მართული ძალები. ძალიან დიდ საშიშროებას ვხედავ მე იმაში, რომ ბურჯანაძე ხელისუფლებაში მოვიდეს. ბიძინა ივანიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მე მივდივარ და ჩემი მისია უკვე შევასრულეო, გვაფიქრებინებს იმას, რომ ვინც ივანიშვილის ხელისუფლებაში მოიყვანა, მათ ის გარკვეული შუალედური ამოცანისთვის მოიყვანეს; იმისთვის, რომ შემდეგ კიდევ უფრო გააღრმავონ პრორუსული პროცესები. სამწუხაროდ, პრორუსული პროცესი საქართველოში დიდი ხნის დაწყებულია. როგორც ჩანს, ივანიშვილის მიერ შერჩეულ ძალებს კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინათ პრორუსული კურსი და შემდეგ გადაებარებინათ ეს საქმე მასზე ბევრად უფრო გამოკვეთილი და გაბედული პრორუსი ლიდერისთვის, როგორიც არის ნინო ბურჯანაძე.

***– ექსპერტების ნაწილი პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობს, რომელიც ივანიშვილის პოსტიდან წასვლის შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავდება. არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი გაზაფხულზე ქაოსსაც პროგნოზირებს. ვის უტოვებს კოალიციის ლიდერი საქართველოს, რომლის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანაც ოპოზიციაში შემოსულმა ივანიშვილმა იტვირთა?***

– რა თქმა უნდა, ივანიშვილის წასვლის თაობაზე განცხადება და ეს ნაბიჯი ქმნის ქვეყანაში არასტაბილურობის შეგრძნებას. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცს ასეთი განცხადებები, რა თქმა უნდა, არ შეეფერება. თუ ივანიშვილის მოწოდება პოლიტიკა არ იყო, მაშინ არც უნდა მოსულიყო. თუ მოვიდა, უნდა შეესრულებინა ის, რაც მას მიზნად ჰქონდა დასახული. მაგრამ, საქმე ისაა, რომ არც მისი პოლიტიკაში მოსვლა გადაუწყვეტია თავად ივანიშვილს და, როგორც ჩანს, არც წასვლაა მასზე დამოკიდებული. შეიძლება, ადამიანმა თეორიულად დაუშვას, რომ რუსეთი თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენოს, მაგრამ აბსოლუტურად გამორიცხულია თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, რომ რუსეთიდან ადამიანს, რომელსაც პოლიტიკური მიზნები აქვს გაცხადებული, მილიარდები გამოატანონ. ეს გამორიცხულია. აქედან გამომდინარე, თავიდანვე ნათელი იყო, რომ მისი პოლიტიკაში მოსვლა ეს არ იყო, როგორც თავად ივანიშვილმა თქვა, მისი უფროსი ვაჟის წაქეზებით მომხდარი, არამედ ეს იყო სრულიად სხვა პიროვნების წაქეზებით, რომლის ვინაობაც კარგადაა ცნობილი.

***– ანუ ღიად ჩანს, რომ ივანიშვილი რუსული ინტერესებით მოიყვანეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში?***

– ბუნებრივია, ეს რუსეთიდან მოდის. მისი პოლიტიკიდან წასვლაც იმის ასახვაა, რომ იგი იძულებით იყო ხელისუფლებაში. როგორც ჩანს, გარკვეული ვალდებულებები უკვე შეუსრულა რუსეთს ანუ პროგრამა მინიმუმი და ახლა სურს, ეს ყველაფერი სხვას გადააბაროს, მასზე უფრო პრორუსს.

***– ფაქტია, ამ ერთ წელიწადში არაერთხელ გამოიკვეთა საზოგადოებაში რელიგიური ნიშნით დაპირისპირების ფაქტები. ესეც გამიზნულად ხდებოდა? რამდენად იკვეთებოდა აქ ნაციონალების ხელწერა?***

– რა თქმა უნდა, გამიზნულად ხდებოდა. მე არა მგონია, რომ ეს ნაციონალების ხელწერაა, იმიტომ, რომ ნაციონალების დროს ასეთი რამ არ ყოფილა, თუმცა ძალიან ბევრი უარყოფითი პროცესი იყო, მაგრამ კონკრეტულად ეს პროცესი ნაციონალების დროს არ ყოფილა. ზოგადად ეს უფრო პროვოკატორების საქმეა, რუსეთიდან მართული პროვოკატორებისა. რუსეთიდან მართული პროვოკატორები დღეს უფრო მეტად ხელისუფლებაში არიან, ვიდრე ოპოზიციაში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ესეც რუსული პროცესია. აბსოლუტურად უარყოფითი პროცესებია, რომელიც არ არის ტიპური და არ არის ბუნებრივი, თანაც, რასაკვირველია, სრულიად მიუღებელია ეს პროცესები. რაიმეს მცდელობა მაჰმადიანებისთვის ხელის შეშლის, ლოცვის წინააღმდეგაც კი გამოდიოდა ადგილობრივი მოსახლეობა, სახელმწიფოში ასეთი მოვლენის დაშვება, აბსოლუტურად მიუღებელია. ასეთი რამ სრულად არ არის დამახასიათებელი საქართველოსთვის. ეს არის ხელოვნურად გაღვივება რელიგიური ნიშნით დაპირისპირების. ეს ანტისახელმწიფოებრივი მოვლენაა, რისი დაშვებაც აბსოლუტურად მიუღებელია.

***– რადგან პრემიერის წასვლაზე ვსაუბრობდით, ვის უტოვებს პარლამენტს პრემიერი და რამდენად სამართლიანია იმ ოპოზიციონერთა კრიტიკა, ვინც ფიქრობს, რომ ქვეყნის მართვის სადავეები ისევ რესპუბლიკელებისა და ნაციონალების ხელში იქნება?***

– ეს ერთ-ერთი ვარიანტია. მე ვფიქრობ, აქ რამდენიმე ვარიანტი განიხილება. სავალდებულო არ არის, ეს რამდენიმე ვარიანტი ერთი და იმავე წყაროდან მოდიოდეს. შესაძლოა, მუშაობა ორი მიმართულებით მიდიოდეს. ვთქვათ, რუსეთისთვის აშკარად უკეთეს ვარიანტს წარმოადგენს ბურჯანაძის ხელისუფლებაში მოყვანა თუ არა ამჟამინდელი საპრეზიდენტო არჩევნებით, იყოს მაინც ამის მცდელობა, რომ ხელისუფლებაში მოიყვანოს, ხოლო თუ ხელისუფლებაში ვერ მოიყვანს, დააფიქსიროს მაინც, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა და მომავლისთვის აუნთოს „მწვანე შუქი“. ეს ერთი მიმართულება შეიძლება იყოს ბურჯანაძის ხელისუფლებაში მოყვანა. რა თქმა უნდა, არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ, რომ ბურჯანაზე კი არა, რაც თქვენ ბრძანეთ ნაციონალებისა და რესპუბლიკელების ალიანსზე, ეს განხორციელდეს. მე არც ამას გამოვრიცხავ.

***– ანუ ქვეყნის გარეთ, იგივე რუსეთის ინტერესებშია, რომ ნაციონალების გაყვანა პოლიტიკური ველიდან არ მოხდეს?***

– არც ეს არის გამორიცხული. რა თქმა უნდა, ესეც შესაძლო განვითარებაა. ნაციონალებისა და რესპუბლიკელების ალიანსის შესახებ მსმენია, თორემ მე, პირადად, ინფორმაციას არ ვფლობ. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ასე იყოს. არც ეს არის დადებითი ვარიანტი, მაგრამ ბურჯანაძის მოყვანას, სიმართლე გითხრათ, ყველა სხვა ვარიანტი სჯობია, პლასტილინის ჩათვლით.

## მიწისძვრას ყვარლის რაიონში ნგრევა არ მოჰყოლია

გუშინ დილით ყვარლის რაიონში მომხდარ მიწისძვრას ნგრევა არ მოჰყოლია.

როგორც „მედიანიუსს“ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ქევხიშვილმა განუცხადა, რამდენიმე სოფელში სახლებში გაჩენილი ბზარები მიწისძვრის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა, თუმცა საგანგაშო არაფერია.

მისივე თქმით, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობს. კომისიის მიერ დასკვნის გამქვეყნების შემდეგ დაზარალებულებს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით დაეხმარებიან. „ყველა მოსახლეს დავეხმარებით, რათა განმეორების შემთხვევაში სავალალო შედეგი არ მოჰყვეს“, – აღნიშნა ქევხიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გუშინ საქართველოში 5,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრი ყვარლის რაიონის სოფელ ალმატში დაფიქსირდა.

მედიანიუსი

## საეკლესიო კალენდარი

ხსენება წინასწარმეტყველ ზაქარიასი და მართალი ელისაბედისა, – მშობელთა იოანე ნათლისმცემელისა (I). მოწამე თიფაილისა და დისა მისისა თიბეასი (98-138); მოწამე სარვილესი; მოწამე რაისასი (დაახლ. 308); იუვენტინე და მაქსიმე მხედართა (361-363); მოწამე ურვანოსი, თეოდორესი, მედიმნესი და მათთანა 77 მამათა, ნიკომიდიას წამებულთა (370); მოწამე აბდიასი, სპარსელისა (V).

წინასწარმეტყველი ზაქარია და მართალი ელისაბედი იყვნენ მშობლები უფლის წმიდა წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და ნათლისმცემელის იოანესი. წარმოშობით პირველმღვდელმთავრის აარონის გვარიდან იყვნენ. მათ შვილი დიდხანს არ ჰყავდათ. ერთხელ, ღვთისმსახურების დროს ტაძარში ზაქარიას ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ ეყოლებოდათ ძე, მაგრამ ზაქარიას ანგელოზის სიტყვებში ეჭვი შეეპარა, ამიტომ დაისაჯა, იოანეს დაბადებამდე მეტყველების უნარი დაკარგა.

მოწამენი თიფაილი და დაი მისი, თიბეა წარმართთა შორის ქრისტეს რწმენის ქადაგებისთვის ევნენ.

მოწამეები იუვენტინე და მაქსიმე მხედრები იმპერატორ იულიანე განდგომილის მეფობის ჟამს ევნენ.

მოწამეები ურვანოსი, თეოდორე და მედიმნე და მათთან ერთად 77 მღვდელმსახური ნიკომიდიაში ევნენ ქრისტესთვის არიოსის მწვალებლობის მიმდევარი იმპერატორის ვალენტის დროს.

მოწამე აბდი სპარსეთში ევნო იეზდიგერდ მეფის დროს. მან უარი განუცხადა მაზდეანებს, განდგომოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ცეცხლისთვის ეცა თაყვანი. ამისთვის ის სასტიკად აწამეს.

### დაიბადნენ:

1946 – თედო ჯაფარიძე, დიპლომატი, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტარი.

1891 – ოტო შმიდტი, რუსეთელი გეოფიზიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფი, მოგზაური. გარდაიცვალა 1956 წელს.

### გარდაიცვალნენ:

96 – ტიტუს ფლავიუს დომიციანუსი, რომის იმპერატორი.

1911 – პიოტრ სტოლიპინი, გამოჩენილი რუსი პოლიტიკური მოღვაწე, აგრარული რეფორმის ავტორი.

### მოვლენები:

1769 – ამერიკელმა ჯონ ჰარისმა დაამზადა პირველი ფორტეპიანო.

1810 – ჩილემ დამოუკიდებლობა მიიღო.

1850 – აშშ-ს კონგრესმა საემიგრაციო კანონი დაამტკიცა.

1919 – საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო არგენტინამ.

1961 – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდი ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

აშშ – კონსტიტუციის კვირეული.

ნიდერლანდები – დედოფლის გამოსვლის დღე.

ჩილე – დამოუკიდებლობის დღე. მედიანიუსი

# ეროვნულ არქივს ბელგიელი ძმების ელექტრონული არქივი გადასცეს

ეკა ირემაშვილი



საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი ბელგიის სოციალური ისტორიის ინსტიტუტის დელეგაციის წევრებს რიტა კალკონსა და მიშელ ვერმოტს შეხვდა. სტუმრებმა თბილისში ბელგიელი ძმების მიულსების შთამომავლების მიერ საქართველოს ეროვნული არქივისთვის გადაცემული მასალის ელექტრონული ასლები ჩამოიტანეს.

– ბელგიელი კოლეგების მიერ მიულსების შთამომავლებთან მოძიებული მასალა მე -20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მრეწველობის განვითარების ისტორიის დაზუსტებას შეუწყობს ხელს. ერთ-ერთი ძმა, ავგუსტ მიულსი საქართველოში 1908 წელს ჩამოვიდა და ფრანგული „დარკვეთის მანგანუმის მომპოვებელი საზოგადოების“ მმართველი გახდა. 1910 წელს მასთან დაიწყო მუშაობა მისმა ძმამ ჰენრიმ, რომელიც ინჟინერი იყო. 1913 წელს მათ კიდევ ერთი ძმა პიეტერი შეუერთდა. პირველი მსოფლიო ომის დროს კი მიულსების მთელი ოჯახი საქართველოში გადმოვიდა საცხოვრებლად და აქ 1926 წლამდე დარჩნენ, – აღნიშნა თეონა იაშვილმა.

რიტა კალკონის ინფორმაციით, ეროვნული არქივისთვის გადაცემული მასალა 2000-მდე წერილისა და 200-მდე ფოტოს ციფრულ ასლს აერთიანებს, რომლებიც 1909-1926 წლებით თარიღდება. აქ აღწერილია იმ პერიოდის საქართველოს კულტურული და სამრეწველო ცხოვრება; ფოტოებზე ასახულია მანგანუმის საბადოები, ტექნიკური აღჭურვილობა, მუშათა ურთიერთობები, სოფლის მცხოვრებლები, მათი ტრადიციები, ბუნების ხედები და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები. წერილობითი დოკუმენტები, ძირითადად, ბელგიურ და ფრანგულ ენებზეა შედგენილი.

ქართული და ბელგიური მხარეები შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომავალ წელს საქართველოში მიულსების არქივის გამოფენა გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული არქივი ბელგიის სოციალური ისტორიის ინსტიტუტთან 2011 წლიდან თანამშრომლობს, რომლის ფარგლებში მხარეებმა არაერთი საინტერესო საარქივო მასალის ელექტრონული ვერსია გაცვალეს.

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში სტაჟირების ახალი ეტაპიც დაიწყო. პროგრამაში მონაწილეობას ის 12 სტაჟიორი იღებს, რომელიც შესაბამისმა კომისიამ კონკურსის შედეგად შეარჩია. ისინი სტაჟირების პროგრამას უახლესი ისტორიისა და საისტორიო ცენტრალურ არქივებში, სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკაში, შესყიდვების სამსახურში, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურში, ლილოსა და ფოთის არქივებში გაივლიან. სტაჟიორებს საშუალება ექნებათ, გაიღრმავონ თეორიული ცოდნა, ამასთან გაეცნონ საარქივო საქმიანობის პრაქტიკულ მხარეს. სტაჟირების პროექტის წარმატებულად დასრულების შემთხვევაში, პროგრამის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცემათ.

# კულტურის სამინისტრო თანამშრომლებს აფრთხილებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო თანამშრომლებს აფრთხილებს და მათ სპეციალური განცხადებით მიმართავს. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო სპეციალური განცხადებით მიმართავს თანამშრომლებს და მოუწოდებს, გაითვალისწინონ და სრულად დაიცვან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დაწესებული შეზღუდვები და ამით ხელი შეუწყონ საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მიმდინარე კამპანიის სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარებას. საარჩევნო კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნების მიხედვით: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე საჯარო მოხელეებს უფლება არ აქვთ, მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს;

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს ეკრძალებათ, იყვნენ საარჩევნო კომისიის წევრები;

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს აკრძალულია ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა;

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გაცემა, მოწოდება ან დაპირება;

ასევე, ეკრძალებათ რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება“.

კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია კი აგრძელებს შეხვედრებს ცნობილ ქართველ ხელოვანებთან. ამჯერად მინისტრი კინორეჟისორ რეზო ჩხეიძეს შეხვდა. მათ ისაუბრეს ფილმ „ჯარისკაცის მამის“ ფერადი ეკრანიზაციის შესახებ, რომლის ჩვენებაც საქართველოს რეგიონებში მიმდინარეობს, ასევე განიხილეს ერთობლივი სამომავლო გეგმები.

მინისტრი ფილმის „გრძელი ნათელი დღეების“ ავტორებს – რეჟისორ ნანა ექვთიმიშვილსა და პროდიუსერ სიმონ გროსსაც შეხვდა. რეჟისორმა კულტურის მინისტრი „გრძელი ნათელი დღეების“ თბილისურ პრემიერაზე დაპატიჟა და ფილმის მომავალ გეგმებზე ისაუბრა. გურამ ოდიშარიამ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მხარდაჭერასა და ფილმის მსოფლიო კინოფორუმზე ღირსეულად წარდგენის საკითხს. „გრძელი ნათელი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# სუხიშვილებმა ციხეში იცეკვეს

ეკა ირემაშვილი

ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა „სუხიშვილები“ კონცერტი არც მეტი, არც ნაკლები, ციხეში გამართა. მოცეკვავეები სასჯელაღსრულების №15 დაწესებულებას ეწვივნენ და მსჯავრდებულებისთვის საგანგებო კონცერტი ჩაატარეს. სუხიშვილების კონცერტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი პირადად დაესწრო.

მინისტრი ანსამბლის ხელმძღვანელებს ილიკო და ნინო სუხიშვილებსაც შეხვდა და მათი ანსამბლის მიერ მსჯავრდებულთა მიმართ გამოხატული ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადა. როგორც ნინო სუხიშვილმა განაცხადა, მათ კონცერტების სხვა დაწესებულებებში გამართვის სურვილიც აქვთ.

როგორც სოზარ სუბარმა განაცხადა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსგავსი ხასიათის სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები 2012 წლის ოქტომბრიდან ყოველთვიურად იმართება. მათ შორის კონცერტები, ლიტერატურული საღამოები, თეატრალური წარმოდგენები. სოზარ სუბარის თქმით, კულტურული ღონისძიებების განხორციელების მიზანი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაა.

„სუხიშვილები“ არ არღვევენ ტრადიციას და სტუდიის მოცეკვავეების, სტაჟიორებისა და კურსდამთავრებულების საანგარიშო კონცერტებსაც ატარებენ, სადაც სტუდიის მონაწილეები სხვადასხვა ქართულ ცეკვებს მათ შორის აჭარულს, ჯუთას, ილოურს ასრულებენ.

ილიკო სუხიშვილმა ამ ზაფხულს თავს დასვენების და გართობის უფლება მისცა და საქართველოში პირველად ჩატარებულ მოტოფესტივალს ორგანიზებაც გაუწია. მასში მონაწილეობა არა მარტო თვითონ მიიღო, არამედ სუხიშვილების მოცეკვავეებსაც მიაღებინა. ქორეოგრაფი სიახლეებითა და ნოვატორობით არის ცნობილი. ამჯერად როგორც ცნობილია, ილიკო სუხიშვილი ახალ პროექტზე მუშაობას, რომელსაც „რამიშვილები“ ეწოდება და იგი კომპანია „სილქნეტის“ ხელშეწყობით ხორციელდება. სავარაუდოდ ნაციონალური ბალეტი ახალ პროექტს მაყურებელს შემოდგომაზე წარუდგენს. „რამიშვილების“ დეტალები ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, მაგრამ ცნობილია ის, რომ ეს იქნება თანამედროვე, ახალი, მასშტაბური დადგმა ჯაზისა და ბალეტის ელემენტებით, ასევე მოდერნითა და ფოლკლორით. ექსპერიმენტული პროგრამა ფოლკლორზე დაფუძნებული მოდერნისტული ბალეტის ელემენტებით იქნება გაჯერებული, რომელიც ანსამბლის სხვა პროექტებისგან სრულიად განსხვავებული იქნება.

პროექტს „რამიშვილები“ ილიკო სუხიშვილი ბებიას ცნობილი ქორეოგრაფს ნინო რამიშვილს უძღვნის. ამ პროექტით ნინო რამიშვილის ოცნება განხორციელდება. პროექტში ილიკო სუხიშვილი ბებიისგან მიღებულ რჩევებსაც გაითვალისწინებს.

თბილისური პრემიერის შემდეგ, „რამიშვილები“ საქართველოს სხვა ქალაქებშიც იმოგზაურებს. ანსამბლის მიერ დაგეგმილია პროექტის თელავსა და ბათუმში წარდგენაც. ანსამბლის ხელმძღვანელობა იმედს გამოთქვამს, რომ „რამიშვილების“ პრეზენტაცია 2013 წელს გაიმართება.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ვლადიმერ დვალიშვილი: „მანქანა არ ვარ“

პოლონეთის ექსტრაკლასას ბოლო ტურში, ვლადიმერ დვალიშვილმა სტუმრად „კორონასთან“ ჩატარებულ მატჩში ჰეთ თრიქი რომ შეასრულა, უკვე ვწერდით. თუმცა, არც პოლონელ ჟურნალისტებს დარჩენიათ უყურადღებოდ და მასთან ინტერვიუ იქაურ პრესაში გამოქვეყნდა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე დვალიშვილი მწვრთნელმა ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში არ ათამაშა – მეტიც, განაცხადში არ შეიყვანა. სწორედ ამ შეკითხვით იწყება ინტერვიუ.



***– 18 დღეში ფეხბურთელის სრულად გარდაქმნა შესაძლებელია? ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში „სტიაუასთან“ ჩატარებულ მატჩსა და „კორონასთან“ შეხვედრას შორის ეს დრო გავიდა და რუმინელებთან დაპირისპირებაში 18 კაცს შორის ვერ მოხვდით, ხოლო უცებ კელცეში სამი გოლი გაიტანეთ.***

– წავიკითხე, რომ ორი კვირის წინ ცუდ ფორმაში ვიყავი, მაგრამ ჯამში, ახლაც იგივეს ვგრძნობ, რასაც მაშინ. რა თქმა უნდა, ფანტასტიკურ ფორმაში არ ვიმყოფებოდი, მაგრამ დღევანდელთან შედარებით უფრო სუსტად არ გამოვიყურებოდი.

***– გავრცელდა აზრი, რომ დვალიშვილი ღამის კლუბებში დახეტიალობსო? მართლა ასე იყო?***

– მსგავს ადგილებში არ დავდივარ, მათ შეუძლიათ შემამოწმონ. პრაქტიკულად სულ სახლში ვზივარ. უბრალოდ, საჭმელად გავდივარ ხოლმე. როდესაც რაღაც ისე არ მიდის, ბევრი თეორია არსებობს. ამისგან ცოტა დავილალე. მაგალითად, ზოგი ვირუსზე საუბრობდა... რომელი ვირუსი? ეს აპრილში თუ მაისში იყო.

***– აბა, რა იყო მიზეზი, რომ უფრო ნელი და ნაკლებად დინამიური ჩანდით?***

– მე მანქანა არ ვარ და მსგავსი რამ შეიძლება მომხდარიყო. ვფიქრობ, ეს უფრო ფსიქოლოგიური საკითხია.

***– „სტიაუასთან“ მატჩში 18 კაცში ვერმოხვედრას იმსახურებდით?***

– ვფიქრობ, არ ვიმსახურებდი. ძალიან მოწყენილი ვიყავი. გასახდელში ელიუ პინტუსთან ერთად ვიჯექი და თამაშს ვუყურებდი. ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა, რომ ჯანმრთელი ვიყავი და 18 კაცში ვერ მოვხდი. თუმცა, მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა და მის ამ ნაბიჯს პატივს ვცემ.

***– ამის შესახებ გუნდის მთავარ მწვრთნელს იან ურბანს ესაუბრეთ?***

– მან მითხრა, რომ მისი აზრით, კარგ ფორმაში ვიმყოფები და ელოდა, რომ ვარჯიშებისა და მატჩების დროს უფრო აგრესიული ვიქნებოდი. მე ვუთხარი, რომ ისე მოვიქცეოდი, როგორც ის ფიქრობდა.

# გიორგი შერმადინი: „იმედი მაქვს, ბევრს ვითამაშებ“

**როგორც უკვე იცით, საქართველოს ნაკრების კალათბურთელი გიორგი შერმადინი მომავალი სეზონიდან ესპანური „სარაგოსას“ ღირსებას დაიცავს.**

**შერმადინი ახალ კლუბთან ერთად ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად პირველ შეკრებაზე კატალონიურ ვილაში გაემგზავრა, მანამდე კი, კლუბის ოფისში ქართველი ახალწვეულის გიორგი შერმადინის პრეზენტაცია შედგა.**

**ქართველი კალათბურთელის წარდგენას კლუბის სპორტული დირექტორი ვილი ვილარი და მთავარი მწვრთნელი ხოსე ლუის აბოსი დაესწრნენ. როგორც გაირკვა, გიორგი ახალ კლუბში 19-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.**




**ლუის აბოსი:**

– კლუბმა შერმადინის გადაბირებით დიდი საქმე გააკეთა. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, საერთაშორისო არენაზე ცნობილია და ვფიქრობ, ჩვენთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. გიორგი ნიჭიერი კალათბურთელია და მასთან ერთად წინსვლისთვის კარგი საფუძველი გვაქვს.

**ვილი ვილარი:**

– კლუბში ახალი ერის დაწყებას ვცდილობთ, რომელშიც შერმადინს დიდი როლი დაეკისრება. მისგან მასმედიაც და ქომაგებიც ბევრს ელიან. ვფიქრობ, ქართველ კალათბურთელს ყველა მონაცემი გააჩნია, რათა ყველას იმედები გაამართლოს. გიორგის ტრანსფერი ჩვენთვის ყველა კუთხით მიმზიდველი ვარიანტი გახლდათ.

***– „სარაგოსაში“ გადმოსვლა რატომ გადაწყვიტეთ?***

– კლუბზე ბევრი რამ შევიტყვე. ვიცი, რომ ქალაქიც ჩინებულია და გუნდიც მაღალი დონის გახლავთ. ბევრ კალათბურთელს ვესაუბრე და მხოლოდ დადებითი ინფორმაცია მესმოდა. აქ ყოფნით მოხარული ვარ და უკვე მწვრთნელსაც ვუთხარი – მინდა, კარგი თამაშით მას ნდობისთვის მადლობა გადავუხადო. გუნდის წარმატებისთვის ყველაფერს გავიღებ.

***– როგორ ფიქრობთ, თქვენი მოსვლით გუნდს რა სარგებელი ექნება?***

– ვეცდები, ყველა მატჩში მაქსიმალურად დავიხარჯო. ჩემი მთავარი მიზანი, ყველა ტურნირზე გამარჯვება იქნება.

***– თუ იცით, რომ თქვენთან კონტრაქტის გაფორმება აქ დიდ წარმატებად იქნა მიჩნეული.***

– დიახ, ეს მეც გავიგე. ჩემი ტრანსფერით ბევრმა ქომაგმა გაიხარა და ამ ემოციებს „ტვიტერზეც“ ვეცნობოდი. „სარაგოსას“ გულშემატკივრები ჩემს მოსვლას გუნდის წარმატებულ თამაშს უკავშირებენ და ვეცდები, მათი იმედები არ გავაცრუო.

***– თქვენი ახალი თანაკლუბელებიდან თუ იცნობთ ვინმეს?***

– ჰოლანდიელი ნორელის წინააღმდეგ ბოლოს 2 წლის წინ ვითამაშე. ვიცნობ ბელგიელ ტაბუსაც, თუმცა, გასულ ევროპის ჩემპიონატზე მას არ შევხვედრილვარ. სამაგიეროდ, ევრობასკეტზე კონტაქტი მქონდა ხორვატ დამიან რუდეზთან. ჩვენი ნაკრებები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და დამიანთან მქონდა საუბარი. მან მითხრა, რომ „სარაგოსა“ კარგი გუნდია, რომელსაც ჩინებული მწვრთნელი ჰყავს. რუდეზს თავად ქალაქიც ძალიან მოსწონს.

***– ახალ გუნდში თქვენი მიზნები როგორია?***

– ვიცი, რომ გასულ სეზონში „სარაგოსა“ კარგად გამოიყურებოდა და ესპანეთის ჩემპიონატში მე-3 ადგილი დაიკავა. კარგი იქნება, თუკი ამაზე უარეს შედეგს არ ვაჩვენებთ. ამასთან, ევროთასზეც წარმატებულად უნდა ვითამაშოთ.

***– როგორ ფიქრობთ, „სარაგოსაშიც“ ისევე ბევრი წუთი დაგეთმობათ, როგორც საქართველოს ნაკრებში, თუ „ოლიმპიაკოსივით“ მცირე დროის გატარება მოგიწევთ მოედანზე?***

– კარგი კითხვაა. ვიმედოვნებ, რომ ბევრს ვითამაშებ, ისე კი, ამ კითხვით, სჯობს, მწვრთნელს მიმართოთ.

***– სხვათა შორის, ესპანურ ლიგაში თქვენი სტილის არცთუ ბევრი მოთამაშეა.***

– არა, რატომ? აქ უმაღლესი დონის კალათბურთელები მრავლად არიან. ჩემი მიზანი სწორედ ის იქნება, რომ ამ დონის ლიგაში თავი საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინო.

# უმედლო დასაწყისი

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებს 66 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებში – ლევან ქელეხსაშვილს და დავით ქერაშვილს ბრინჯაოს მედლების მოპოვებამდე თითო გამარჯვება დააკლდათ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების დებიუტანტები ბრინჯაოს მედლებისათვის რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლებთან დამარცხდნენ. ქელეხსაშვილმა ორთაბრძოლა მაგომედ ყურბანალიევთან დათმო, ქერაშვილმა კი პავლო ელეინიკთან წააგო. აღსანიშნავია, რომ ლევან ქელეხსაშვილმა ნახევარფინალამდე შეძლო გასვლა, სადაც მომავალ ჩემპიონთან, სომხეთის წარმომადგენელ დავიდ საფარიანთან 5:6 დამარცხდა.

მანამდე, ქელეხსაშვილმა – ინდოელ არუნ კუმარსა (8:0), ეგვიპტელ აიად იბრაჰიმ ხალილსა (8:1) და ბელარუს ალექსანდრ კონტოიევს (7:5) მოუგო, საფარიანთან მარცხზე უკვე გითხარით, მესამე ადგილისთვის კი რუს მაგომედ ყურბანალიევთან (5:7) დამარცხდა.

ქერაშვილმა ტურნირი კარგად დაიწყო – სამხრეთკორეელ ჯაეგანგ კიმს (2:1), ალბანელ ეგზონ შალას (12:5), ხოლო ბელარუს ივან იანკოუსკის (9:7) მოუგო, შემდეგ კი, გადამწყვეტ ბრძოლაში კი ევროპის წლევანდელ ჩემპიონთან, უკრაინელ პავლო ოლეინიკთან (2:10) წააგო.

რაც შეეხება ედიშერაშვილს: სომეხ მიჰრან ჯაბურიანს (6:2) და ესპანეთის სახელით მოჭიდავე ლევან მეტრეველი ვართანოვს (4:1) მოუგო, მეოთხედფინალში კი რუს ნარიმან ისრაპილოვთან 15:19 წააგო.

# ოვერტაიმების ტური

ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალის წყვილები ცნობილია. საბერძნეთმა დრამატულ, 2-ოვერტაიმიან ჯახში დათმო შეხვედრა ხორვატიასთან, რითაც პლეი ოფის ბოლო საგზური ესპანეთმა მიიღო. გაიგეს რა, რომ მეოთხედფინალში გავიდნენ, ესპანელებმა იტალიასთან მატჩი მშვიდად ითამაშეს, თუმცა პლეი ოფში ასევე გასულმა მეტოქემ პირინეელებს დიდი ბრძოლა გაუმართა და ოვერტაიმში სძლია.

**ხორვატია – საბერძნეთი 92:88(ოტ)**

**ხორვატია: ბოგდანოვიჩი (22ქ), ტომიჩი (15ქ, 12მ), უკიჩი (14ქ), დრაპერი (13ქ)**

**საბერძნეთი: ბოუროუსისი (21ქ, 9მ), სპანულისი (18ქ), ზისისი (14ქ), კაიმაკოღლუ (14ქ)**

**იტალია – ესპანეთი 86:81**

**იტალია: ჯენტილე (25ქ, 7მ), არადორი (17ქ), ბელინელი (16ქ, 8მ), დატომე (11ქ)**

**ესპანეთი: გასოლი (32ქ,10მ), როდრიგესი (18ქ, 6პ)**

**ფინეთი – სლოვენია 92:76**

**ფინეთი: ლი (17ქ), სალინი (16ქ), კოივისტო (16ქ), კოპონენი (14ქ, 6პ), აჰონენი (11ქ)**

**სლოვენია: ნაჰბარი (15ქ), ბალაზიჩი (14ქ)**

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.სლოვენია | 5 | 4 | 1372:361 | 9 |
| 2.ხორვატია | 5 | 3 | 2385:379 | 8 |
| 3.იტალია | 5 | 2 | 3375:339 | 7 |
| 4.ესპანეთი | 5 | 3 | 2374:357 | 8 |
| 5.ფინეთი | 5 | 1 | 4381:407 | 6 |
| 6.საბერძნეთი | 5 | 2 | 3341:385 | 7 |

# სუპერლიგაზე მსჯელობენ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სუპერლიგის მომავალ სეზონში მონაწილე გუნდებისა და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრა შედგა. ეს რიგით მე-3 შეხვედრა იყო, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. კლუბების წარმომადგენლებს სუპერლიგის აღმასრულებელ დირექტორ გიორგი ზაბახიძესთან ერთად ამჯერად კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი, მერაბ რატიშვილი შეხვდნენ.

გუნდების მიერ თავდაპირველად წამოჭრილი საკითხების დაახლოებით 90 პროცენტზე მხარეები შეთანხმდნენ. აღნიშნული საკითხები შეეხებოდა ჩემპიონატში ლეგიონერთა ლიმიტს, სეზონის კალენდარს და სხვადასხვა აქტუალურ თემებს, რომლებზეც აქამდე გამართულ 2 შეხვედრაზე აქტუალური მსჯელობა მიმდინარეობდა.

ყველა შეთანხმებული საკითხი სუპერლიგის 2013-14 წლების სეზონის დებულებაში აისახება, რომელიც სუპერლიგის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდება და ვებ-გვერდზე განთავსდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# „იბერია სტარი“ ბათუმს უახლოვდება

„იბერია სტარის“ ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც საუბარი იყო კლუბის მომავალზე. მოგეხსენებათ, იგეგმება „იბერია სტარის“ ბათუმში გადასვლა და სწორედ ამ ქალაქის სახელით წარმოდგენა ეროვნულ ჩემპიონატსა თუ ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე.

კლუბის პრეზიდენტი ვახტანგ წერეთელი, რამდენიმე დღის უკან შეხვდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ავთანდილ ბერიძეს, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარეს ირაკლი ჩავლეიშვილსა და აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს მერაბ ნაგერვაძეს.

ამ შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს „იბერია სტარის“ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კლუბის ბათუმში გადასვლას. „იბერია სტარის“ პრეზიდენტმა და ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ ერთად დაათვალიერეს ბათუმში არსებული ინფრასტრუქტურა. „იბერია სტარის“ პროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მხრიდან მოჰყვა დიდი დაინტერესება. ვინაიდან არსებობს სურვილი, რომ ბათუმი გადაიქცეს საფეხბურთო ქალაქად. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯიც, რომელიც ითვალისწინებს ბათუმში უმაღლესი სტანდარტის საფარის ჩამოტანას. ამ საკითხთან დაკავშირებით აჭარის მთავრობამ მიიღო უეფას რეკომენდაციები. უახლოეს მომავალში იგეგმება კიდევ ერთი შეხვედრა ვახტანგ წერეთელსა და აჭარის მთავრობის მეთაურ არჩილ ხაბაძეს შორის. აქტიური თანამშრომლობა იძლევა რეალურ საფუძველს, რომ 2014 წლიდან ევროპაში „იბერია სტარი“ ბათუმის სახელით წარდგება. რაც შეეხება კლუბის ამჟამინდელ მდგომარეობას ფინანსური პრობლემების გამო, გუნდიდან ყველა ლეგიონერი წავიდა. ამ დროისთვის „იბერია სტარში“ მხოლოდ ქართველი ფეხბურთელები ირიცხებიან. ახალ მოთამაშეებზე იმის თქმა შეიძლება, რომ უმეტესობა თსუ-ს გუნდიდან არის აყვანილი, ხოლო გიორგი თორთლაძე წლების განმავლობაში კვიპროსში თამაშობდა და სწორედ იქიდან მოხდა მისი დამატება.

კლუბის მიზანი ამ დროისთვის უეფას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა და ელიტრაუნდში გასვლაა. თამაშები 30 სექტემბრიდან დაიწყება და ამ ეტაპს უნგრეთი უმასპინძლებს.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სუონსი-ლივერპული ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| 2.არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 3.ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| 4.სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| 5.ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| 6.სტოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| 7.ნიუკასლი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:5 | 7 |
| 8.ევერტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| 9.ვესტ ჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:1 | 5 |
| 10.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| 11.კარდიფი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| 12.მანჩესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| 13.სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| 14.ნორვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 15.ფულემი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 16.ჰალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| 17.ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| 18.კრისტალ პალასი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| 20.სანდერლენდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ელჩე-ვალიადოლიდი ........................ 0:0
ბილბაო-სელტა ........................ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 12 |
| 2.ატლეტიკო | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 12 |
| 3.ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 10 |
| 4.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| 5.ბილბაო | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| 6.ესპანიოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 7.სელტა | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| 8.სოსიედადი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| 9.ლევანტე | 4 | 1 | 2 | 1 | 2:8 | 5 |
| 10.მალაგა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:4 | 4 |
| 11.ბეტისი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| 12.გრანადა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| 13.ვალიადოლიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| 14.ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 15.ელჩე | 4 | 0 | 3 | 1 | 3:6 | 3 |
| 16.ვალენსია | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| 17.რაიო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:12 | 3 |
| 18.ალმერია | 4 | 0 | 2 | 2 | 8:11 | 2 |
| 19.სევილია | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| 20.ოსასუნა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

**იტალია. სერია ა**

პარმა-რომა ........................ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| 2.რომა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| 3.ფიორენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| 4.ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| 5.იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 6.ლივორნო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| 7.ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| 8.ვერონა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| 9.მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| 10.უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| 11.ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 12.კალიარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| 13.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 14.ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| 15.ბოლონია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| 16.სამპდორია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| 17.კიევო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| 18.პარმა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| 19.კატანია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| 20.სასუოლო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ტერნანა-ბრეშა ........................ 1:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ოსერი-ბრესტი ........................ 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-დინამო ........................ 1:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ფენერბახჩე ........................ 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-ატრომიტოსი ........................ 1:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ზნოიმო-სპარტა ........................ 0:2

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ნორდსიელანდი .... 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-დიურგარდენი ........................ 0:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვპს-კუუპიო ........................ 2:1
მარიეჰამნი-მიუპა ........................ 3:2
ლახტი-ჰიკი ........................ 0:2
როვანიემი-ჯჯკ ........................ 1:1
ტპს-ინტერი ........................ 1:1
იარო-ჰონკა ........................ 1:3

# კულტურის სამინისტრო თანამშრომლებს აფრთხილებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

დღეები" „ოსკარზე" წარდგენილი 2014 წლის კანდიდატია საქართველოდან, რომელსაც ქვეყანა ამერიკის კინოაკადემიის წინაშე უცხოენოვანი ფილმის კატეგორიისთვის წარადგენს. შეხვედრაზე საუბარი სწორედ „ოსკარისთვის" მზადებასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში პიარკამპანიის დაგეგმვას შეეხო.

მსოფლიოდან 70-მდე შერჩეულ ფილმს შორის აკადემიის წევრები ჯერ 10-მდე ფილმს აირჩევენ. შერჩეული ფილმებიდან ნომინანტები 2014 წლის იანვარში გამოვლინდებიან.

ბერლინალეს 63-ე ფესტივალზე მსოფლიო პრემიერისა და მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე გამარჯვების შემდეგ, ახალგაზრდა რეჟისორის ნანა ექვთიმიშვილის გერმანულ-ქართული ფილმის პრემიერა საქართველოს კინოთეატრებში 19 სექტემბერს შედგება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების თბილისი და ორი თინეიჯერი მეგობარი გოგონას თავგადასავალი, რეჟისორის ბავშობის მოგონებები, იმ ეპოქის ერთგვარი მხატვრული დოკუმენტია. ნანა ექვთიმიშვილმა სცენარიც თავად დაწერა და ფილმი სამშობლოში გერმანელ პროდიუსერთან სიმონ გროსთან და ცნობილ რუმინელ ოპერატორთან ოლეგ მუტუსთან ერთად გადაიღო. საერთაშორისო კინოკრიტიკოსებმა ეკრანებზე „გრძელი ნათელი დღეების" გამოსვლას ქართული კინოს გაზაფხული და ქართული კინოს ხელახალი დაბადება უწოდეს.

უკვე ცნობილია, რომ ფილმი იტალიის, ბელგიის, დანიის, ლიტვის, ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების კინოფესტივალებზეც გაემგზავრება.

გურამ ოდიშარიამ ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში აბას თალები ფარი მიიღო. გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებასა და სამომავლო ერთობლივ პროექტებს. მხარეებმა ქართულ-ირანული კულტურის სახლის შექმნის პერსპექტივებზეც ისაუბრეს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აქტიურად აგრძელებს სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერას. სამინისტროს თანადგომით, შესაძლებელი გახდა პირველად საქართველოში ნამდვილი კინოთეატრის მოწყობა ღია ცის ქვეშ. ქართული და პოლონური მხარეების ერთობლივი თანამშრომლობით კინოთეატრის ფორმატის ეკრანებზე საუკეთესო პოლონური და ქართული ფილმების გარე ჩვენებები დაიგეგმა. სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის პოლონეთიდან ჩამოვიდა დიდი ზომის გასაბერი ეკრანი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში იმოგზაურებს. ჩვენებების ადგილზე მაყურებელს დახვდება კომფორტული სავარძლები. ფილმები წარმოდგენილი იქნება ქართული და ინგლისური სუბტიტრებით. ღონისძიებაზე დასწრება უფასოა. ჩვენებები გაიმართება ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში. პროექტს წარმოადგენს პოლონეთის საელჩო საქართველოში და პოლონეთის კულტურის პატრონაჟით და სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, პარტნიორები არიან თბილისის, ქუთაისის და ბათუმის მერია, ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტი, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, პოლონეთის ეროვნული ფილმოთეკა. კინოჩვენებების განრიგი უკვე შედგენილია. ფილმები აჩვენეს ქუთაისში, 21 სექტემბრამდე წარმოდგენილი იქნება ბათუმში, საავტორო კინოფესტივალის ფარგლებში, ხოლო თბილისში ღონისძიება რიყის პარკში 24-დან 29 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება.

კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით შარდენზე მდებარე გობელენის მუზეუმში დამსახურებული მხატვრის მალხაზ კუხალაშვილის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება დაიგეგმა, რომელიც მისი შემოქმედების ამსახველი წიგნი-ალბომის პრეზენტაციით შემოიფარგლა. ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ ხელოვანები, სამინისტროს წარმომადგენლები.

– მალხაზ კუხალაშვილის ნამუშევრები გამოფენილი იყო თბილისში, რიგაში, მოსკოვში, კატმანდუში, ვილნიუსში, კუნძულ დიქსიზე, ლაიფციგში. მისი ნახატები ინახება კერძო კოლექციებში თბილისში, მოსკოვში, ოტავაში, პარიზში, ნიუ-იორკში, ლოს ანჟელესში, ვენასა და დრეზდენში. მხატვარი აქტიურად მუშაობს წიგნის გრაფიკაში. გაფორმებული აქვს მრავალი წიგნი, მათ შორის გამოცემები – ვაჟა-ფშაველა, გიორგი ლეონიძე, გოდერძი ჩოხელი, გივი ჭიჭინაძე, იბსენი, მატი უნტი, ქართული და გერმანული ზღაპრები, საყმაწვილო ენციკლოპედია, „ქართული მწერლობის" სამტომეული, „დედა ენა", თბილისის ორტომეული და სხვა გამოცემები. მხატვარი თანამშრომლობს ჟურნალებთან „ჩვენი მწერლობა", „დილა" და „ნიანგი". მისი მხატვრობით გაფორმებულია მრავალი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი. მალხაზ კუხალაშვილი საქართველოს მხატვართა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრია, – ამბობენ სამინისტროში.

კულტურის მინისტრი საქართველოს რეგიონებს მთელი ზაფხულის განმავლობაში სტუმრობდა და ეს ვიზიტები არც შემოდგომაზე შეუწყვეტია. გასულ კვირას გურამ ოდიშარია და მისი პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი სამუშაო ვიზიტით სიღნაღს სტუმრობდნენ. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დათვალიერება და ბოდბის მონასტრის მონახულება. სამინისტროს დელეგაციამ კულტურისა და ხელოვნების ცენტრში შეხვედრა გამართა კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან და ამ სფეროში მომუშავე სახელმწიფო მოხელეებსა და პედაგოგებთან. სიღნაღში ვიზიტი დასრულდა სასტუმრო კაბადონში, სადაც ლატვიელი მწერლის ნორა იკსტენას წიგნის „მადონას მეგობარი" პრეზენტაციაზე შედგა.

კულტურის სამინისტრომ და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტრომ დაგეგმა ვიზიტი საფრანგეთში ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებით. საფრანგეთში გაემგზავრა ორი სამინისტროს მიერ შექმნილი კომისიის ხელმძღვანელი და კომისიის წევრები. ეს არ იყო პირველი ვიზიტი ლევილში, რომელიც უკვე დასრულდა და საკმაოდ შედეგიანად.

– ლევილში „ლევილის შატოს" მამულისა და ქონების საქართველოსთვის გადმოცემისა და მისი შემდგომი ფუნქციის განსაზღვრის საკითხებზე მოლაპარაკებებისათვის თბილისიდან გაემგზავრა სახელმწიფო კომისიის წევრთა დელეგაცია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის კონსტანტინე სურგულაძის, მინისტრის მოადგილის მუხრან გულაღაშვილისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე მარგიშვილის შემადგენლობით. კომისიის მუშაობაში ასევე მიიღეს მონაწილეობა კომისიის წევრმა, საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა გოჩა ჯავახიშვილმა და საფრანგეთის „ქართული კერას" წარმომადგენლებმა, „ლევილის შატოს" მფლობელთა შთამომავლებმა ირენ ციციშვილმა, ტიერი ბერიშვილმა და ეთერ ფაღავამ, – განმარტეს კულტურის სამინისტროში.

ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრა საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს პრეზიდენტთან ოთარ ზურაბიშვილთან. ასევე შეხვედრა გაიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საფრანგეთის რესპუბლიკაში ეკა სირაძე-დელონესთან. საქართველოს დელეგაცია ეწვია ქალაქ ბერჟერაკს, სადაც დაიგეგმა შეხვედრები ქალაქის პრეფექტთან და ქალაქის მერთან. შეხვედრების დასასრულს ჩატარდა კულტურული ღონისძიებები.

– დელეგაცია საფრანგეთიდან საქართველოში 16 სექტემბერს დაბრუნდა, რაც იმის დასტურია, რომ ლევილის მამულის დაბრუნებასთან დაკავშირებით, საფრანგეთში საქართველოს დელეგაციის ვიზიტი დასრულდა. მხარეების გადაწყვეტილებით, მთავრობას წარედგინება წინადადება, რომლის მიხედვითაც უნდა გამოიყოს თანხები, იურიდიული საკითხების მოსაწესრიგებლად. ასევე საუბარი შეეხო ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც უნდა გატარდეს 2013-2014 წლების განმავლობაში ქონებისა და მამულის ქართული მხარისთვის გადმოსაცემად. სპეციალური კომისია, დიასპორის მინისტრის ხელმძღვანელობით, საფრანგეთში 3-დღიანი ვიზიტით იმყოფებოდა, – აღნიშნეს სამინისტროში.

მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში ლევილსა და თბილისში უკვე გაიმართა „ლევილის შატოს" მამულისა და ქონების საქართველოსთვის გადმოცემისა და მისი შემდგომი ფუნქციის განსაზღვრის მიზნით შექმნილი პარიტეტული კომისიის ორი სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე.

# სად მდებარეობს უძველესი მეღვინეობის კერა საქართველოში?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლები მას შემდეგ მუდმივი კვლევის საგანია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილია VI ათასწლეულით დათარიღებული, უძველესი ღვინის წიპწები. კომპლექსური კვლევის შედეგად დგინდება, რომ ველური ვაზი ადამიანმა პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მოიშინაურა და შემდეგ უკვე კულტურული ვაზისგან ღვინო დაწურა. კერამიკული ჭურჭლის ანაფხეკებში აღმოჩენილია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები, რაც ამ ჭურჭელში ღვინის არსებობის დასტურია, – აღნიშნავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი.

მისივე თქმით, 2012 წლიდან ძეგლზე სამუშაოებს აგრძელებს ქართულ-ფრანგული არქეოლოგიური ექსპედიცია (საქართველოს ეროვნული მუზეუმის და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის პროექტის ფარგლებში. არქეოლოგიურ სამუშაოებში სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც იღებენ. ექსპედიციის ხელმძღვანელია ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების მთავარი კურატორი მინდია ჯალაბაძე.

ძეგლის არქეოლოგიური შესწავლით დგინდება, რომ ამ პერიოდში იწყება მიწათმოქმედების აღმავლობა და საზოგადოება გადადის ცხოვრების ახალ ეტაპზე. ჩნდება პირველი მეურნეობის ნიშნები, იწყებენ ცხოველების მოშინაურებას.

– წლევანდელი ექსპედიციის შედეგად გამოვლინდა საცხოვრებელი ნაგებობები, სხვადასხვა შრომის იარაღები, ჭურჭელი, სამეურნეო ორმოები და სხვა. აღმოჩენილი მასალის დამუშავების და პალეო-ბოტანიკური კვლევის შედეგები კიდევ უფრო ნათელ სურათს შექმნის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ღვინის უძველესი კულტურის შესახებ, – ამბობს ანა ვერულაშვილი.

უახლოეს მომავალში საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეროვნული ღვინის სააგენტო და ასოციაცია „ქართული ღვინო" ერთობლივად განახორციელებენ ქართული ღვინის კულტურის ისტორიის კვლევის ეროვნულ პროგრამას, რომლის მიზანიც საქართველოს როგორც უძველესი მეღვინეობის ქვეყნის წარმოჩენაა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი მის დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებში სხვადასხვა ღონისძიებას ატარებს. ეროვნულმა მუზეუმმა ქართული ხალხური რეწვის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ეთნოგრაფიულ მუზეუმში ხალხური რეწვის სკოლა და XIX საუკუნის გაცოცხლებული მეგრული ოდის პრეზენტაცია წარმოადგინა.

– ხალხური რეწვის სკოლის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცემათ გაეცნონ ტრადიციული ხელსაქმის ოსტატებს, დახელოვნდნენ და აითვისონ ხალხური ხელობის სხვადასხვა დარგები და გადაარჩინონ ისინი მივიწყებას. მონაწილეები შეისწავლიან მეთუნეობას, დაზგურსა და ჩხირებით ქსოვას, ტილოზე ნემსით ქარგვას, ხეზე კვეთას, ტრადიციულ მჭედლობას. წინასწარი რეგისტრაციის შემთხვევაში გაკვეთილებზე დასწრება უფასოა. ეთნოგრაფიულ მუზეუმში მისულ დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაეცნონ XIX საუკუნის სამეგრელოს სახლის, მისი კარმიდამოსა და ერთ-ერთი ოჯახის ყოფა-ცხოვრების გაცოცხლებულ ისტორიას. სტუმრებს სახლის ზღურბლზე ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ოჯახის უფროსი და დიასახლისი ეგებებიან, აცნობენ ოჯახის ისტორიას, უთხრობენ სამეურნეო კულტურის, რწმენის, ტრადიციებისა და წარმოდგენების შესახებ. ინტერიერი გამდიდრებულია შესაბამისი ექსპოზიციითა და ცოცხალი პროდუქტებით. ეზოში დათესილია ძველი კულტურები: სიმინდი, სელი, მუხუდო. ყოველ შაბათ-კვირას შუაცეცხლზე მზადდება ტრადიციული საკვები – იხარშება ღომი. შუა-ცეცხლზე იბოლება ოჯანჯალზე ჩამოკიდებული სულგუნები. დამთვალიერებელს, სურვილისამებრ, შეუძლია დაეხმაროს დიასახლისს სხვადასხვა ხელსაქმეში, საკვების მომზადებაში, აგრეთვე, დააგემოვნოს ცხელი ღომი და ყველი, – აღნიშნავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი.

მისივე თქმით, პროგრამის მიზანია საქართველოში ხალხური რეწვის ცოცხალი ტრადიციების აღორძინება, შენარჩუნება და მისი ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დამთვალიერებლისათვის.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ქართული ხალხური რეწვის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხალხური რეწვის ღია გაკვეთილები გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ ჯერ კიდევ აგვისტოდან დაიწყო.

– საერთო გლობალიზაციის ფონზე ხალხური რეწვა, როგორც ქვეყნის კულტურის განუყრელი ნაწილი და მისი თვითმყოფადობის, ესთეტიკის გამოხატულება, სულ უფრო აქტუალური ხდება, – განმარტავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-საგანმანათლებლო ღონისძიება „პრეისტორიული თამაშები" წარმოადგინა. პროექტი მიზნად ისახავს მეცნიერებისა და სამუზეუმო ცხოვრების პოპულარიზაციას. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში იგეგმება შეჯიბრი პრეისტორიული შუბის ტყორცნაში. სტუმრებს აგრეთვე შესაძლებლობა ექნება გაეცნონ ქვის იარაღების დამზადების პროცესს.

– „პრეისტორიული თამაშების" დმანისში ჩატარება სიმბოლურია, რამეთუ დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი არის უნიკალური ადგილი საოცარი აღმოჩენებით, რომლებიც ცვლის კაცობრიობის ისტორიას და ჩვენს შეხედულებას ადამიანის ევოლუციის შესახებ. 2009 წლიდან დამთვალიერებელს დმანისის განახლებული მუზეუმი მასპინძლობს. ის პირველი მუზეუმია საქართველოში, რომელიც არქეოლოგიური გათხრების უბანზეა გამართული. აქ დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა დააკვირდეს მეცნიერთა არქეოლოგიურ სამუშაოებს, გახდეს ახალი აღმოჩენების შესაძლო თანამონაწილე და მიიღოს უახლესი ინფორმაცია მეცნიერული აღმოჩენის შესახებ, – აცხადებს ანა ვერულაშვილი.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში არქეოლოგ შოთა ჩართოლანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა.

– წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს შოთა ჩართოლანს 81 წელი შეუსრულდებოდა. მან მთელი ცხოვრება სვანეთის სიძველეების კვლევას მიუძღვნა. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სვანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას და აქვეყნებდა წიგნებს, წერილებსა და ანგარიშებს ქართულ და უცხო ენებზე. მისი კვლევები კარგად არის ნაცნობი როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისათვის. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, დაიგეგმა არქეოლოგ მალხაზ ცინდელიანის მიერ მოხსენების წაკითხვა ბატონი შოთას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რაც დამსწრე საზოგადოებას საშუალებას მისცემს, უფრო მეტი შეიტყოს ცნობილი არქეოლოგის დამსახურებაზე. მოგონებებით გამოსვლა გადაწყვიტეს შოთა ჩართოლანის კოლეგებმა და მეგობრებმა. მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის ახლად გახსნილი მუზეუმის არქეოლოგიის დარბაზისთვის საზეიმო ვითარებაში შოთა ჩართოლანის სახელის მინიჭება გადაწყდა, – ამბობენ ეროვნულ მუზეუმში.

ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში კი შვედი ფოტოგრაფის მიხეილ ნასბერგის პერსონალური ფოტოგამოფენაა.

– გამოფენაზე წარმოდგენილია შვედი ფოტოგრაფის მიხეილ ნასბერგის 50 ნამუშევარი. პროფესიით ინჟინერი მიხეილ ნასბერგი, რომელიც 1947 წელს დაიბადა საქართველოში, ფოტოგრაფიით 70-იან წლებში დაინტერესდა. ხელოვანი „ლაიფ ფოტოგრაფიის" ჟანრში მუშაობდა. 80-იან წლებში, მიხეილ ნასბერგი აქტიურად თანამშრომლობდა უცხოურ პრესასთან, ის სხვადასხვა ფოტოკონკურსის ლაურეატიც გახდა, იყო ფოტოკლუბების წევრი და „საქინფორმის" ერთ-ერთი წამყვანი ფოტოგრაფი. მიხეილ ნასბერგმა საქართველოში მოღვაწეობისას დიდი გავლენა მოახდინა იმ პერიოდის ქართულ ფოტოგრაფიაზე. 1978 წლიდან მისმა ნამუშევრებმა არაერთი ჯილდო დაიმსახურა ამერიკის, კანადის, ბელგიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების ფოტოკონკურსებზე. გამოფენის სტუმრებს საშუალება აქვთ გაეცნონ მიხეილ ნასბერგის მიერ სხვადასხვა პერიოდში გადაღებულ ფოტოებს, რომლებიც საქართველოსა და სხვა ქვეყნების ცხოვრების სტილსა და ინდივიდუალობას, მისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნებით ასახავს. ფოტოგრაფის ნამუშევრები თბილისის ისტორიის მუზეუმში 29 სექტემბრის ჩათვლით იქნება გამოფენილი, – აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 2. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 3. ყურანის მოხედვით, მუსლიმანთა სამოთხეში მცხოვრები, მარად ნორჩი ლამაზი ქალები; 4. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 5. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 6. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 7. ქართული რადიო; 9. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 17. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 18. სოფელი სტეფანწმინდას რაიონში.

**თარაზულად**: 1. მაგნიტური ველის დაძაბულობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 8. მდინარე ყვირილას მარცხენა შენაკადი; 10. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 11. იორდანიის დედაქალაქი; 12. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 14. სამურაების მეთაური; 15. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 16. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 19. წელში გამოყვანილი, სამხედრო ყაიდის ქურთუკი; 20. ოთხსიმიანი, ხემიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პაციფისტი; 2. ლიგნიტე; 3. ლიკანი; 4. ბაფტა; 5. სტურუა; 11. იტალია; 12. ვიტესი; 14. ტუფი; 16. სორბონა; 17. მაესტრო; 19. ბერლინი; 21. ურალი; 22. ანოდი.

**თარაზულად:** 6. მარტვილი; 7. კრამიტი; 8. ტავრო; 9. ოფორტი; 10. ნოკია; 13. შტატი; 15 ესკალატორი; 18. საქსები; 20. აული; 21. უტზონი; 23. კალიფორნია; 24. რიგელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტაიკონავტი; 2. ჭორომი; 3. როლექსი; 4. დვალი; 5. რაფინადი; 6. გენია; 7. რივიერა; 9. გრაცია; 13. ატოლი; 17. გიოა; 18. ერი.

**თარაზულად:** 1. ტყაპუჭი; 3. რაპიდი; 8. ბაგერი; 10. კოლხეთი; 11. ტოკაი; 12. ტირანია; 14. რაბინი; 15. პრისტლი; 16. დოგმა; 19. შალახო; 20. პინჩერი; 21. ბაზარი.

# რუსეთში მოსახლეობის 6% ნარკოტიკებს მოიხმარს



რუსეთში 8,5 მილიონი ადამიანი, ანუ მოსახლეობის დაახლოებით 6%, სამედიცინო მიზნებით ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს მოიხმარს, ნათქვამია რუსეთის მთავრობის ვებგვერდზე.

ნარკომანების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ქმედითი სისტემის უქონლობას იქამდე მივყავართ, რომ მკურნალობის შემდეგ, რეაბილიტაციაზე ავადმყოფების არაუმეტეს 5% იგზავნება, აღნიშნულია დოკუმენტში.

ამასთან, ნარკომომხმარებლების საზოგადოებაში დასაბრუნებლად, ძირითადი დატვირთვა არასამთავრობო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გადადის.

სახელმწიფო ანტინარკოტიკული კომიტეტის სხდომაზე, ნარკოკონტროლის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა ვიქტორ ივანოვმა აღიარა, რომ ქვეყანაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიტუაცია უმწვავესია,.

„მონიტორინგის შედეგებით, 18 მილიონზე მეტ ადამიანს(მოსახლეობის დაახლოებით 12%-ს) ერთხელ მაინც გაუსინჯავს ნარკოტიკი, სხვადასხვა რეგულარობით, ნარკოტიკებს დაახლოებით 8 მილიონი ადამიანი მოიხმარს“, – ამბობს ივანოვი და ხაზს უსვამს, რომ ნარკოტიკებისგან ყოველწლიურად 20-30 ათასი ადამიანი იღუპება.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რუსეთის პრეზიდენტს ნარკოდამოკიდებულთა კომპლექსური რეაბილიტაციის ნაციონალური პროგრამა წარედგინება, ის უკვე მზად არის და ყველა შეთანხმება გაიარა.

„სიტუაციის კარდინალურად შესაცვლელად ყველა ზომა უნდა მივიღოთ“, – აცხადებს ივანოვი.

# აშშ-ში სამხედრო-საზღვაო მეთაურთა ცენტრზე თავდასხმას 12 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

გუშინ ვაშინგტონში, სამხედრო-საზღვაო მეთაურთა ცენტრზე განხორციელებულ თავდასხმას 12 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ა„ბი-ბი-სის“ ცნობით, შეიარაღებული თავდამსხმელი აარონ ალექსისი წარსულში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში მსახურობდა, ახლა კი ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობდა. ის პოლიციასთან ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა.




თავდასხმის შედეგად დაშავდა რვა ადამიანი. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თეთრ სახლსა და კაპიტოლიუმზე სახელმწიფო დროშების დაშვების ბრძანება გასცა.

ვაშინგტონის მერმა ვინსენტ გრეიმ მომხდარს „საშინელი თავდასხმა“ უწოდა, თუმცა დასძინა, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მიეცეს.

არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელი სხვადასხვა ადგილში ატეხილი სროლის გამო ორჯერ უკვე იყო ნასამართლევი.

თავდასხმის შესახებ პირველი კომენტარი გააკეთა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ. თეთრ სახლში გაკეთებული მიმართვისას მან მომხდარს წარმოუდგენელი მასშტაბის ძალადობა უწოდა, თავდასხმა დაგმო და დაღუპულები პატრიოტებად მოიხსენია.

„ნეივი იარდში“ მომხდარი თავდასხმა ტეხასში ნიდალ ჰასანის მიერ სამხედრო ბაზაზე განხორციელებული მკვლელობის შემდეგ სამხედრო ობიექტზე მომხდარი ყველაზე მასშტაბური ინციდენტია.

# საფრანგეთისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა მოსკოვში სირიის საკითხზე უშედეგოდ დასრულდა




მოსკოვში უშედეგოდ დასრულდა რუსეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა სირიის საკითხთან დაკავშირებით. მათი შეფასება ახლახანს გაეროს მიერ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოხსენების შესახებ ერთმანეთს არ დაემთხვა.

შეხვედრის შემდეგ სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ ორივე ქვეყანა სირიის ქიმიური იარაღის არსენალის განადგურებისკენ ისწრაფვის, მაგრამ მათი შეხედულებები ამ მიზნის მისაღწევად ერთმანეთისგან განსხვავდება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა გაეროს ინსპექტორებს წარმოადგინონ საბოლოო დასკვნა ახალი შემთხვევების შესწავლის გათვალისწინებით და არც ის გამორიცხონ, რომ ეს შეტევა პროვოცირებული იყო.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა კი განაცხადა, რომ გაეროს ექსპერტების მიერ უკვე წარმოდგენილი ანგარიში არ ტოვებს ეჭვს იმის შესახებ, რომ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე პასუხისმგებლობა სირიის ხელისუფლებას ეკისრება.

„ეჭვიც არ დარჩა იმისა, რომ ქიმიური იერიში უკნა ასადის რეჟიმი დგას“, – განუცხადა ფრანგმა მინისტრმა რუს ჟურნალისტებს.

ამავე დროს, ვაშინგტონი, ლონდონი, პარიზი და მოსკოვი შეთანხმდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი დამასკო ქიმიური იარაღის საერთაშორისო კონტროლის ქვეშ გადაცემის და მისი განადგურების შესახებ შეთანხმებას არ შეასრულებს, მის წინააღმდეგ სერიოზული და ხისტი ნაბიჯები გადადგან.

„თუკი ასადი ამ შეთანხმების პირობების შესრულებას ვერ შესძლებს, ჩვენ, მათ შორის რუსეთიც, თანახმანი ვართ, რომ ამას შესაბამისი რეაგირება მოვაყოლოთ, რადგან შეთანხმება, აშშ-ს და რუსეთს რეაგირების მოხდენას ავალდებულებს“, – განაცხადა ჯონ კერიმ ჟურნალისტებთან საუბრისას.

გუშინ, როგორც ცნობილია, გაეროს ექსპერტებმა ორგანიზაციის გენერალურ მდივან ბან კი მუნს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით დასკვნა წარუდგინეს. ორშაბათს მოხსენება უშიშროების საბჭოს წევრებმა განიხილეს.

ექსპერტების დასკვნაში მითითებულია, რომ 21 აგვისტოს დამასკოსთან ახლოს ზარინის გაზი იქნა გამოყენებული. ექსპერტების ამოცანას არ წარმოადგენდა დაედგინათ ვინ იდგა ამ თავდასხმის უკან.

გაეროში ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ელჩები კი აღნიშნავენ, რომ ინსპექტორების მიერ შეგროვებული ტექნიკური ინფორმაცია იმაზე მიუთითებს, რომ ამ თავდასხმის მოწყობა მხოლოდ სამთავრობო ჯარებს შეეძლოთ. თუმცა, მათ განცხადებას გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ვიტალი ჩურკინი გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა რომ დასკვნების გაკეთება არ უნდა იჩქარონ და არ გამორიცხა, რომ 21 აგვისტოს თავდასხმის უკან ამბოხებულები იდგნან.

გაეროს მოხსენებაში მითითებულია, რომ დამასკოსთან ახლოს ზარინის გაზით სავსე რაკეტები იქნა გამოყენებული. გაეროს გენმდივანმა უკვე უწოდა აღნიშნულს „საშინელი თავდასხმა“ და „სამხედრო დანაშაული.“

„ასადის რეჟიმი ზარინს ფლობს. ჩვენ არ გაგვაჩნია იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ზარინის გაზი ამბოხებულების ხელშია მოხვედრილი. ლოგიკას არ ექვემდებარება ის, რომ ოპოზიციამ შეაღწია რეჟიმის მიერ კონტროლირებად რაიონში, რათა ოპოზიციის მიერ კონტროლირებადი რაიონზე მოეხდინა თავდასხმა“,-აღნიშნა გაეროში ამერიკის მუდმივმა წარმომადგენელმა სამანტა პაუერმა.

ამ ფონზე, „ამერიკის ხმა“ აცხადებს, რომ პენტაგონი სამხედრო ოპერაციის მზადყოფნაშია. ხომალდები და რაკეტები ფართო შესაძლებლობების ერთი ნაწილს შეადგენს, თუ თეთრი სახლი დარტყმის ბრძანებას გასცემს.

სირიის გარშემო განვითარებული დიპლომატიური მცდელობების მიუხედავად, ოთხი ამერიკული საესკადრო ნაღმოსანი, მზადყოფნაში მყოფი ტომაჰავკი დიდი რაოდენობის რაკეტებით, რჩება საკუთარ პოზიციებზე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას, სამხედრო ფლოტის მდივანმა რეი მაბუსმა აუდიტორიას უთხრა, რომ ხომალდების სამოქმედო გეგმები არ შეცვლილა.

„გარანტიას გაძლევთ, რომ თუ დარტყმის განხორციელებას მოგვთხოვენ, ჩვენ დავარტყამთ მძლავრად და სწრაფად“.

ხომალდები და რაკეტები შეადგენს ფართო შესაძლებლობების ერთი ნაწილს, რაც პენტაგონს მზადყოფნაში აქვს – თუ და როცა თეთრი სახლი დარტყმის ბრძანებას გასცემს. დარტყმის გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტია კიბერნეტიკული თავდაცვაც.

ასადის მომხრე ძალები ახდენდნენ კიბერ თავდასხმებს ამერიკულ სამიზნეებზე და მათვე ბრალდებათ ახლახანს შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა რეკრუტირების ვებ– გვერდის გატეხვა.

პენტაგონის პრესმდივანი, ვიცე-პოლკოვნიკი დემიენ პიკარტი ამბობს, რომ შეერთებული შტატები წვრთნიდა თავის კიბერნეტიკულ ძალებს, რათა მზადყოფნაში და სათანადოდ აღჭურვილი ყოფილიყვნენ ყოველგვარი საშიშროების დასაძლევად.

„თუ რომელიმე ქვეყანა ან ჯგუფი გადაწყვეტს გამოიყენოს კიბერნეტიკული სივრცე შეერთებული შტატების ინტერესების ან თავად შეერთებული შტატების წინააღმდეგ, ჩვენ გამოვიყენებთ საკუთარ კიბერნეტიკულ ძალებს თავდასაცავად და სათანადო პასუხის გასაცემად“.

კიბერნეტიკული შეტევის გეგმის დეტალები მკაცრადაა გასაიდუმლოებული.

თავდაცვის საკითხების ანალიტიკოსი ენტონი კორდესმანი ამბობს:

„იმის ცოდნა, თუ სინამდვილეში რამდენად არის დამოკიდებული სირიის მთავრობა იმ სისტემებზე, რომლებზეც შეიძლება კიბერნეტიკული თავდასხმით გავლენის მოხდენა, განეკუთვნება სადაზვერვო მონაცემების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. უნდა გვახსოვდეს, რომ შეზღუდული მოქმედების შემთხვევაში არ შეიძლება გავამჟღავნოთ ყველაზე უფრო დახვეწილი ტექნიკური შესაძლებლობები, რაც გაგვაჩნია, რადგან ამით მიეწოდებათ წინასწარი გაფრთხილება, ვითარების ბევრად უფრო სერიოზულად განვითარების შემთხვევაში“.

დღეისათვის ამერიკული ხომალდები სირიის სიახლოვეს ძალის დემონსტრირების მიზნით დგანან. ავიამზიდი „ნიმიცი“ წითელ ზღვაში გახანგრძლივებულ დავალებაზე სულ ცოტა, კიდევ რამდენიმე დღით დარჩება.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ნეპალის დელეგაცია საბაჟო გამშვებ პუნქტ წითელ ხიდს ეწვია

საქართველოში 4-დღიანი ვიზიტის ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკისა და ნეპალის სამთავრობო დელეგაციები საბაჟო გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდს“ სტუმრობდნენ.

დელეგატები შემოსავლების სამსახურში ავტომატიზებული საბაჟო პროცედურების შესახებ განხორციელებულ რეფორმებს ადგილზე გაეცნენ, გარდა ამისა, ისინი შეისწავლიან ერთი სარკმლის პრინციპთან სისტემის ინტეგრირებას, ასევე, მენეჯმენტის სტრატეგიისა და მდგრადობის მექანიზმებს.

შემოსავლების სამსახურის პრესსამსახურის ინფორმაციით, გუშინვე, სტუმრები თბილისის გაფორმების ეკონომიკურ ზონას ეწვევიან და ტვირთის განბაჟების ელექტრონულ სერვისებს გაეცნობიან.

**ნიუსპრესი**

# სამგლოვიარო განცხადებები



შვილები თემური, ზურაბი, ეთერი, შვილიშვილები თინათინი, ნინო, ნონა, სალომე, სოფიო, სესილი ნაჭყებიები, ნანა, ვაჟა კეკელიები, რძლები ლეილა გაბუნია, ირმა კალანდია, სულიკო ინჯგია, ძმისშვილები ანატოლი, ლიანა, ნუგზარ, გული ნაჭყებიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გიორგი (ჟორა) თეიმურაზის ძე ნაჭყებიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 17, 18 სექტემბერს, 17 საათზე, ავლაბარი, ელიას მთა, საინგილოს V ჩიხი, სახლი 12, ბინა 5.

გამოსვენება: 19 სექტემბერს, 14 საათზე, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან (ხეთაგუროვის ქ.№7).



შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ელმომარაგების სამსახურის კოლექტივი ღრმა მწუხარებითა და დიდი გულისტკივილით იუწყება თანამშრომლის, ბატონი

**გივი ოთარის ძე თაყნიაშვილის**

გარდაცვალებას და გულწრფელად თანაუგრძნობს მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 17, 18 სექტემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 19 სექტემბერს, 14 საათზე.

მისამართი: გლდანი, VI მ/რ, VII კორპუსი.

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტისა და ტურიზმის აკადემიის კოლექტივი, რექტორის ამირან მექვაბიშვილის სახით თანაუგრძნობს კადრების მენეჯერს თინა ჭყრუნიშვილს ბებიის, ღირსეული ქალბატონის

**მართას**

გარდაცვალების გამო.

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი

**შოთა დავითის ძე სხირტლაძე**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 18 სექტემბერი**

**08.00** დ/ფ "ღვინო" **09.00"10.00"12.00"16.00"19.00"**მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" **14.30** დ/ფ "წიგნების მშვენება" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** მხ/ფ "**მის კონგენიალურობა**" (ს. ბულოკი) **19.20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. (პ/რ) **21.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. (პ/რ) **00.50** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**". **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **9** სერ. **20.50** სერ. „**სილა**" **3** სერია **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) **23.30, 00.40** მხ/ფ „**მებრძოლი**''

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) **17.00** სერ."**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **0.30** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**ოქროს ოზოზა**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" II ნაწ. **11.05** ჩვენი ფონდი **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** ღია აუდიტორია **12.55** ქართული მულტფილმი **13.30** მართლმადიდებლური კატეხიზმო **13.35** ფოტოგალერეა **13.40** დოკ/ფ "გზა" III სერ. **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.50** კონცერტი - ეკა მამალაძე **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ჩიორა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" III-IV ნაწ. **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**ოქროს ოზოზა**" III ნაწ. **02.00** ირაო

**მაესტრო** **7.00, 0.30, 2.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **8.30, 9.15** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **9.00, 10,00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** (გამ.) **12.50, 6.00** ფარული კამერა **16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა" 17.45, 21.30, 1.15, 4.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **18.05** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "ასი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.15** "კინო მაესტროზე" **1.30, 5.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ.)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,6563 |
| ევრო | — 2,2011 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,6194 |
| 100 რუსული რუბლი | — 5,0589 |

## ამინდის პროგნოზი 18 სექტემბრისთვის




## 400 უმდიდრესი ამერიკელის სიას კვლავ ბილ გეითსი უდგას სათავეში



2013 წელს, ყველაზე მდიდარი ამერიკელების ლიდერთა სამეული უცვლელი დარჩა: ზედიზედ მეოცეჯერ, სიას სათავეში „მაიკრსოფტის“ დამფუძნებელი და თანამფლობელი, ბილ გეითსი ჩაუდგა. მეორე ადგილი ცნობილმა ინვესტორმა, უორენ ბაფეტმა დაიკავა, მესამეზე „ორაკლის“ თანადამფუძნებელი და გენდირექტორი, ლარი ელისონი გავიდა, წერს ჟურნალი „ფორბსი“.

გეითსის ქონება შეფასებულია 72 მილიარდ დოლარად, ბაფეტის – 58,5 მილიარდ დოლარად, ელისონის – 41 მილიარდად.

რეიტინგის ტოპ-ხუთეულში შევიდნენ მეწარმე ძმები, ჩარლზ და დევიდ კოხები (თითოეულის ქონება 36 მილიარდს შეადგენს). მეექვსედან მეცხრემდე ადგილები უოლტონის ოჯახის წარმომადგენლებმა დაიკავეს, რომლებიც „უოლ-არტის“ მფლობელები არიან. პირველ ათეულს ნიუ იორკის მერი, მაიკლ ბლუმბერგი ხურავს, მისი ქონება 31 მილიარდ დოლარად ფასდება.

რეიტინგის პირველ ოცეულში შევიდნენ „ამაზონის“ მფლობელი“ ჯეფ ბეზოსი (12 ადგილი; 27 მილიარდი დოლარი), „გუგლის“ დამფუძნებელი ლარი პეიჯი (13-ე ადგილი; 24,9 მილიარდი დოლარი) და სერგეი ბრინი (14-ე ადგილი; 24 მლრდ). მე-18 და მე-19 ადგილებზე განთავსდნენ სახელოვანი ინვესტორები, კარლ აიკანი (20,3 მლრდ; ის 2008 წლის შემდეგ ტოპ-ოცეულში პირველად დაბრუნდა) და ჯორჯ სოროსი (20 მილიარდი დოლარი). მეოცე ნიშნულზე აიწია „ფეისბუქის“ დამფუძნებელი და გენდირექტორი მარკ ცუკერბერგი (19 მილიარდი დოლარი).

400 მდიდარიდან ყველაზე „ღარიბი“ 1,3 მილიარდ დოლარს ფლობს.

შეერთებულ შტატებში უმდიდრეს ადამიანებზე „ფორბსის“ სია 1982 წლის 13 სექტემბრიდან ქვეყნდება. 1982 წელს აშშ-ში სულ 13 მილიარდერი იყო და ყველა მონაწილის ქონებრივი მდგომარეობა, 169 მილიარდ დოლარად ფასდებოდა.

გ. მ.

## ასტროპროგნოზი 18 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**შემოქმედებითი დღეა**

**ვერძი** – დიდი სიხარული გელით, ეს დღე არ დაგავიწყდებათ. **კურო** – ფული გაქვთ, კიდევ ელოდებით. **ტყუპები** – დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – საღამოს დიდი სიხარული გელით. **ქალწული** – გეგმები გეცვლებათ, საქმე კარგად მიდის. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, გადაღლილი ხართ. **ღრიანკალი** – ფულს იშოვით და პრობლემაც მოგეხსნებათ. **მშვილდოსანი** – თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თხის რქა** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მერწყული** – კითხვა გაწუხებთ, პასუხს მალე მიაგნებთ. **თევზები** – საქმე კარგად წაგივათ, დაჯილდოვდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ქალაქის თავი ჩეხეთში; 2. ქართველი რაგბისტი; 3. ანტიფაშისტური ფერწერულ ტილო „გერნიკას“ ავტორი; 4. საფრანგეთის ნავსადგური ლა-მანშის სრუტეში; 5. საათის მექანიზმი; 11. ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი; 12. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 14. სქელი მურაბა; 16. ძვირფასთვლებიანი, ქალის გვირგვინი; 17. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი საფანტი; 19. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 21. ერაყის ნავსადგური სპარსეთის ყურეში; 22. კვირა დღის ქართული სახელწოდება.

**თარაზულად**: 6. ჩხუბის ამტეხი, აყალ-მაყალის გამომწვევი ადამიანი; 7. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 8. კოვბოების შეჯიბრი; 9. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 10. გარკვეული ვადით და პირობით გაცემული თანხა; 13. სპორტული თამაშის არბიტრი; 15. სასამართლო უწყების უფროსი ძველად საქართველოში; 18. კუთხე საქართველოში; 20. მიწის ფართობის საზომი ერთეული ამერიკაში; 21. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 23. უმაღლესი სასულიერო პირი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 24. მწყრის მართვე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები






**მალე! მალე! მალე! მალე!**

**„ახალ თაობასთან“ ერთად**

**ტომი 4**

**ფრანგული ზღაპრები**

**მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა**




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


## სად მდებარეობს უძველესი მეღვინეობის კერა საქართველოში?



ეკა ირემაშვილი

სად მდებარეობს უძველესი მეღვინეობის კერა საქართველოში? – ამ საკითხზე საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეროვნული ღვინის სააგენტო და ასოციაცია „ქართული ღვინო“ წარმოადგენს ძველი წელთაღრიცხვით VI ათასწლეულით დათარიღებულ არქეოლოგიურ აღმოჩენებს ქვემო ქართლის სოფელ იმირში.

– ძეგლის შესწავლა ეტაპობრივად სხვადასხვა წლებში მიმდინარეობდა. 1960-იან წლებში არქეოლოგიური სამუშაოები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ალექსანდრე ჯავახიშვილისა და ოთარ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით დაიწყო. ექსპედიციამ მეცნიერ თამაზ კიღურაძის ხელმძღვანელობით, სოფელ იმირის მახლობლად შეისწავლა ოთხი ნეოლითური ხანის ნასოფლარი – შულავერის გორა, იმირის გორა, დანგრეული და გადაჭრილი გორა. მკვლევრების მიერ შულავერ-შომუთეფეს კულტურად წოდებული, ძველი წელთაღრიცხვით VI ათასწლეულით დათარიღებული, ეს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ქართული მესიჯი მსოფლიოს – ოლიმპიადა

მსოფლიოში მოსახლეობის საშუალო ასაკი იზრდება, რის გამოც დადგა დემოგრაფიული პრობლემები. აქედან გამომდინარე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება, მეტი ყურადღება დაეთმოს ასაკოვან ხალხს. დღევანდელ პერიოდში ხანში შესული ადამიანები გაცილებით ჯანმრთელად გრძნობენ თავს.

გაერომ ყველა ქვეყანას დაუგზავნა მიმართვა, რომ ხანში შესული ხალხი აქტიურად იყვნენ ჩართული საქმიანობაში, რადგან ისინი უფრო ბრძენი და გაწონასწორებულები არიან. სამეცნიერო ტექნიკური ტემპი იზრდება და მიეცათ მითითება, რომ მოხდეს ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების საქმიანობაში ერთობლივად ჩართვა.

ამის გამო, რამდენიმე ქვეყანამ საპენსიო ასაკი გაზარდა და გაეროს ამ ინიციატივას მხარი აუბა. ხანში შესულ ადამიანთა მხარდაჭერას და საქმიანობაში ჩართვას აქტიურად გამოეხმაურენ საქართველოშიც.

ვლადიმერ მალოვიჩკო, გურამ სიმონიშვილი, ჯუმბერ ლეჟავა, ალექსანდრე გიორგაძე, ნიკოლოზ ანდრიაძე – ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც გაეროს ქვეყნების ხანში შესულ სპორტის მოყვარულთა ორგანიზაცია (იუნესლო) დააფუძნეს და გაეროსა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ახალი იდეით მიმართეს.

**ვლადიმერ მალოვიჩკო, იუნესლოს პრეზიდენტი:**

– არსებობს ტურნირები, სადაც ტარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ვეტერანთა შორის. აქედან გამომდინარე, გაგვიჩნდა იდეა, რომ ჩატარდეს ოლდიმპიადა ხანში შესულ სპორტსმენთა შორის. ოლდიამპიადა უნდა დაემთხვეს ოლიმპიადის ჩატარების ვადებს და ეს გაცილებით შეამცირებს ხარჯებს, რადგან ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, მზად იქნება.

***– როდის და საიდან გაჩნდა ოლდიმპიადის ჩატარების იდეა?***

– მას შემდეგ, რაც გაერომ ხანში შესულ ადამიანთა დასაქმებაზე ისაუბრა. ყოფილმა სპორტსმენებმა, რომლებიც ამჟამადაც ვმონაწილეობთ ვეტერანთა ტურნირებში, გადავწყვიტეთ, იდეა გაგვეჟღერებინა. ავიღეთ პატენტი, გავატარეთ რეესტრში, შევქმენით ორგანიზაცია იუნესლო, ჩამოვაყალიბეთ საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ამ დროისთვის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და გაეროს შორის შუამავლის როლს ასრულებს. წერილებით მივმართეთ სხვადასხვა ორგანიზაციებს, პირველ რიგში გაეროს და მათგან პასუხს ველოდებით. ასევე ვესაუბრეთ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტ ელგუჯა ბერიშვილს, რომელიც მხარდაჭერას დაგვპირდა. წერილით მივმართეთ საქართველოს პრემიერ ბიძინა ივანიშვილსაც, რომელმაც სპორტის სამინისტროს დაავალა უყურადღებოდ არ დავეტოვებინეთ.



***– ოლიმპიადის ჩატარება ძალიან სერიოზულ ფინანსებთან არის დაკავშირებული. თქვენ თქვით, რომ ოლდიმპიადის ჩატარება ნაკლებად ხარჯიანი იქნება.***

– ეს იმიტომ, რომ ოლდიმპიადა უნდა ჩატარდეს ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში და მიახლოებულ ვადებში. აქედან გამომდინარე, ინფრასტრუქტურა უკვე მზად ხვდება. ეს კი ხარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

***– ეს რაც შეეხება ინფრასტრუქტურას. ამის გარდა, სამუშაო ძალიან ბევრი იქნება.***

– რა თქმა უნდა. ძალიან ბევრი საკითხია მოსაგვარებელი – ფინანსური, ასაკობრივი ზღვარი, სამედიცინო ჯგუფი უმთავრესი საკითხია, რადგან საქმე ხანში შესულ ადამიანებთან გვექნება... მსაჯთა კოლეგია, მწვრთნელთა საბჭო... ამ ყველაფერზე ნაფიქრი გვაქვს და სამუშაო გეგმა უკვე შედგენილი გვაქვს. მოლაპარაკებები დაწყებული გვაქვს სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, რუსებთან, ბრაზილიელებთან და სამხრეთ კორეელებთან. დაგეგმილია კონფერენციის ჩატარება. 2015 წელს ბაქოში ახალგაზრდული ოლიმპიადა უნდა ჩატარდეს და იქ გვინდა ექსპერიმენტის ჩატარება.

მ. ჟ.